სახალხო გაზეთი

№ 510 პარასკევი, 27 იანვარი 1912 წ. № 510

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიკის ქ., ს. სტოვიოსი და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--ვარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთეული თვით მხოლოდ დიდი წერილები და [illegible] პარაკვა შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა [illegible] საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სახალხის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети, п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო
და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.

სურათებიანი დამატებით
(კვირაობით)

პრემიად 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **გრდემელი**
ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების
კრებულის პირველი ტომი,
რომელიც „სახალხო გაზეთის" რედაქციამ სრულ
საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემელი" დაახლოებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარეშე, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასო.

ექვსი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემელი" მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილოებით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე, უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

ქართული თეატრი

შაბათს, 28 იანვარს

ელ. თარხნიშვილისა, ივ. სარაჯიშვილის და ბ-ნი ბროჯის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება ცნობილი ოპერა ჯუზეპპე ვერდის

რიგოლეტო

დირიჟორი **ნიკ. ქართველიშვილი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ჩაწერილი ბილეთები შეინახება მხოლოდ პარასკევს (27 იანვ.) საღამომდე. ადმინისტრაცია ქართ. დრ. საზოგადოებისა. (2—188—1)

სახაზინო თეატრი

სამშაბათს, 31 იანვარს,

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

დადგმული იქნება **ოპერა** უჩინისა:

ბოგემა,

კნ. ე. მ. თარხნიშვილის, ქ-ნ შმიდტისა და ბ-ნთ ევლახოვის, ლაზარევის, სერგეევისა და სოკოლსკის მონაწილეობით.

ადგილების ფასი საბენეფისოა. ბილეთების მიღება შეიძლება წ.-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, სახლი ქართველთა თ.-აზნაურობისა, წარმოდგენის დღეს თეატრის კასაში. **დასაწყ. საღ. 8 ს.** (6—1069—4)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.	
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.	
	ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.	
	მაღალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.	
	ბანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.	
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.	
	ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.	
სიფილ.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.	
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.	
	ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.	
ქალ.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.	
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.	
	სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.	
	თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.	
ბავშვ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.	
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.	
	ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.	
ნერვ.	**გედევანიშვილი მ. ბ.** (შაბათობით) 10½—11.	
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.	
ყურ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.	
	ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.	
თვალ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.	
კანონ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.	

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassrman-რჩევისათვისა 10 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; **„ბ ი ბ" წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა **შეღავათიანი** საფასურით. (წ.—1010—255)

ახალი კლუბი

ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აცხადებს, რომ გაგრძელება

საზოგადო კრებისა,

რომელიც იყო 22 დეკემბერს 1911 წ., კლუბის წევრთა და მუდმივ სტუმართა ასარჩევად, დანიშნულია 29 იანვარს 1912 წელს, 12 საათზე, დღისით. (2—1068—1)

ქ. თელავი

ყველიერში 3 თებერვალს საკრებულოს დარბაზში გაიმართება.

სამასკარადო საღამო

ქ. შ. წერა-კითხვის სკოლის სასარგებლოდ. (3—1072—1)

იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა.

ა კ ა კ ი-ს

ლექსების პირველი წიგნი,

რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავ და აგრედვე **ძველიც,** ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.**

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „ცოდნა"-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:- „კოლხიდის" რედაქციაში, მთავრი შვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. „იმერეთში". ბათომს ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.9)

ამიერ-კავკასიის მშრომელთა ამხანაგობა „ვარიაგი"

აუწყებს ამხანაგობაში **წევრად ჩარიცხვის მსურველთ,** რომელთაც განზრახვა აქვთ ბარგის დატვირთვა-გადმოტვირთვაში და მათს შენახვაში პირადი მონაწილეობა მიიღონ, რომ ამხანაგობის წევრად ჩარიცხვა შეიძლება:

1) **რწმუნებულ ი. ნ. სოროკინთან,** ალექსანდრეს ქ., № 7, საღამოს 5—7 საათამდე, და
2) ამხანაგობის **ხაზინადარ გ. ი. ცერცვაძესთან,** დიდუბე, საგურამოს ქუჩა, № 5, საკუთარი სახლი, საღამოს 5—7 საათამდე. (2—1076—1)

ტფილისის საათავად-აზნაურო საადგილ-მამულო

ბანკის

ზედამხედველი კომიტეტი

აცხადებს ურთერთის თავდებობით ბანკიდან მსესხებელთა საყურადღებოდ, რომ ქვემოდ აღნიშნულ დღეებში, ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩაზე), დილის 10 საათზე დანიშნულია **საარჩევნო კრება** 105 რწმუნებულის ასარჩევად სამის წლის ვადით 1912—1914 წ., პირველ ხარისხისა—27 თებერვალს, მეორე ხარისხისა 28 თებერვალს, ხოლო მესამე ხარისხის—29 თებერვალს მომდინარე წელს. საარჩევნო კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი რწმუნებულიც უნდა დაესწროს. (3—1073—1)

დოქტორი მედიცინისა წამლოგა ჭლექისა

ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაგიანცი
ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა
ტუბერკულინ

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—84).

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეიროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლოგა 606 -

(წლ. 1090 26)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 64).

ექიმი **კბილისა ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ9-., № 12.სახლი მდივნისა.

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კირჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 92)

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყოფობას. ვასსერმანის რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან ძოწამლულ სისხლს.

ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 3—5½ საათამდე, **ელისაბედის ქუჩა,** № 94, საფოსტო განყოფილების პირდაპირ. (თ.—183—11)

ექიმი **კბილისა ძაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ, 1660.24)

ექიმი **კბილისა ნინო რეხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი **გ. მ. ღოლოგერიძე**

იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4—6 საათ. წამლობა ფოსფაციდით.

კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, № 16, ტელ. 693. (თ--1657--26)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოღლას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 ს. ათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ ბიჭის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანაბამად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 220)

ექიმი **ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—37).

ექიმი **ვ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9--11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი **პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.50).

ექიმი **ე. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—86).

ექიმი **შ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., № 5.

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

უმორჩილესად ვთხოვ ყველას, ვინც მოწმე იყო თამამშვილის ქარვასლასთან 26 ნოემბერს 1911 წ. მოხუცებულ ქალის, ქართულად ჩაცმულ, პოლკოვნიკის ქვრივის სალომე ბეჟანის ასულ გურგენიძის **გადმოვარდნისა ტრამვაის ვაგონიდან,** მაცნობონ თავიანთი ვინაობა და ადრესი.

რიყის ქუჩა, ამატუნის მისახ., სახ. № 3.

სალომე ბეჟანის ასული
(1.206.) **გურგენიძისა.**

ტფილისი, 27 იანვარი

საქალაქო დებულებათა შეცვლა ამიერ კავკასიაში. ტალღა რუსულ ნაციონალისტურ უკიდურესობისა თანდათან ჩვენსკენაც გადმოგორდა. პოლიტიკის იმ საერთო მიმართულების შემდეგ, რომელსაც რუსეთის ცენტრალური მთავრობა და საკანონმდებლო დაწესებულებანი დაადგენენ, ეს მოსალოდნელიც იყო. ერთგვარი ღირებულებისა და აზრისა იყო დამოკიდებულება განპირა ქვეყნებისადმი. ფინლანდია, პოლონეთი, — ყველა ეს კუთხეები რუს ნაციონალიზმის ექსპერიმენტების სარბიელად გადაიქცა. დიდი ხანია ჩვენებური რუსის ნაციონალისტები, რომელთა აზრის გამომხატველადაც „გოლოს კავკაზა" უნდა ჩაითვალოს, ბუზღუნებენ და ცენტრალურ მთავრობას მოიწვევენ ისეთს მოქმედებისკენ, რომელიც განსაკუთრებულ უპირატესობას მიანიჭებს ამიერ-კავკასიის რუს მცხოვრებლებს. ნიშანში ჯერ-ჯერობით ქალაქის თვითმმართველობანია ამოღებული.

დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო გუშინ იუწყებოდა, საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიამ სასურველად სცნო 1892 წლის საქალაქო დებულებათა ზოგიერთ მამულების გადათვალიერება, რათა ამიერ-კავკასიაში სამართლიანად იქმნეს დაცული რუსების ინტერესები ადგილობრივ საქალაქო თვითმმართველობაშიო. გუშინვე „გოლოს კავკაზას" დეპუტატი ტიმოშკინი დეპეშით ატყობინებს, სახელმწიფო სათათბიროს კომისიამ ხმათა უმრავლესობით, წინაღმდეგ ორი პოლონელისა, სასურველადა სცნო გადასინჯვა საქალაქო დებულებისა რუს მცხოვრებთა ინტერესების დასაცველადაო. „გოლოს კავკაზა" წერილში განმარტავს, რომ, თანახმად განზრახულ ცვლილებისა, ქალაქებში უნდა დაწესდეს ორი საარჩევნო კრება: ერთი რუსეპისთვის, ერთიც არა რუსთათვის. ამასთანავე ხმოსანთა 50 პროცენტს რუსები უნდა შეადგენდნენ.

რამდენად შეეფერება „გოლოს კავკაზა"-ს განმარტება სინამდვილეს, ამის თქმა ამ ჟამად, როდესაც საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიის აზრი ზედ-მიწევნით არ ვიცით, ძნელია, მაგრამ სწორედ ამ გვარი ცვლილების მოხდენა რომ ჰსურთ, ეს დეპეშათა პეტერბურგის სააგენტოს ცნობიდანაცა სჩანს. არსებითად ეს ზომა ისეთივეა, რანაირიც დასავლეთ გუბერნიათა ერობის შემოღების დროს იყო ნახმარი. ალბათ ამ ცვლილებითა ჰსურთ ამიერ-კავკასიის ქალაქებში რუს მცხოვრებთათვის ხელოვნურად შეჰქმნან ისეთი პირობები, რანაირსაც რეალური ძალთა განწყობილება მათ ვერ ანიჭებს. ამიერ-კავკასიაში, სადაც საბოლოოდ მცხოვრებთა უმრავლესობას ადგილობრივი მკვიდრნი შეადგენენ, რუსებს უმცირესობას ეკუთვნის. არის ისეთი ქალაქებიც, სადაც რუსები, როგორც ამომრჩევლები, თითქმის სრულიად არ არიან. ამისთანა პირობებში, რა თქმა უნდა ისინი საქალაქო თვითმმართველობიდან გარიყულნი რჩებიან. რუსის ნაციონალისტები ამის ასახსნელ მიზეზებს ყოველთვის ადგილობრივ მკვიდრთა რუსებისადმი სიძულვილში ეძებენ. ავიწყდებათ ან, უფრო მართალი თუ გინდათ, ძალათი ივიწყებენ, რომ ასეთს მდგომარეობასა ჰქმნის რეალურ ძალთა განწყობილება და არა სიძულვილი, ან ნაციონალური სიმპატია-ანტიპატია. იქ, სადაც უმრავლესობა ქართველებისაგან შესდგება, ბუნებრივად ქალაქის თვითმმართველობასაც ქართული ელფერი ექნება. რუსებს შეეძლოთ ადგილობრივ მცხოვრებლებთან გათანასწორება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეჰქმნიდნენ იმ რეალურ ძალას, რომელზედაც ადგილობრივი მკვიდრნი ემყარებიან. მაგრამ ასეთი გზა გძელია და პრობლემატიური. ამიტომ რუსის ნაციონალისტებმა უფრო ძოკლე გზა აირჩიეს და თავის მდგომარეობის გასაძლიერებლად მოიხმარეს სახელმწიფოებრივი ძალა. რუსის ნაციონალისტებსა ჰსურთ ძალით შეჰქმნან ისეთი პირობები, რომელთაც სინამდვილეს არ ანიჭებს, ჰსურთ ძალით მოიპოვონ ის უპირატესობა, რომელსაც უამისოდ მოკლებულნი იქნებოდნენ.

უკიდურეს ნაციონალისტურ პოლიტიკის თვალსაზრისით იქნება ეს კარგიც იყოს, მაგრამ სახელმწიფოებრივ პრინციპის თვალსაზრისით იგი ძალიან იაფ-ფასიანი პოლიტიკანობაა. ბრძნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ შეასუსტოს ერთა შორის შუღლი და შეჰქმნას ცხოვრების ისეთი პირობები, სადაც ამ ნაციონალისტურ ბრძოლას ადგილი არ ექნება. ბრძნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მოითხოვს, რომ ყველა ერთა გულის-ყური ერთნაირად იყოს მიქცეული საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებისკენ. ეს კი მოხერხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფოებრივი მექანიზმი იმუშავებს არა ერთ რომელიმე ერის უპირატესობის გასაძლიერებლად, არამედ ყველასთვის ერთნაირად. იმ პოლიტიკამ კი, რომელსაც სათავე სტოლიპინმა მისცა, რუსის ეროვნება გამოჰყო და სხვა ყველა ეროვნებათა ინტერესები გაბატონებულ ერის ინტერესებს დაუქვემდებარა. ამ პოლიტიკის შესწორებით დევნისა და შევიწროვების ობიექტად ხდება ყველა არა რუსი. რას მოუტანს ასეთი პოლიტიკა სახელმწიფოს, თუ

არა ნაციონალიზმის უკიდურეს განვითარებას?

ნაციონალისტურ ბრძოლის ამნაირ საბუდრადა ჰსურთ გადააქციონ ამიერ-კავკასიის ქალაქებიც. შეჰმატებს რასმე რუსის მცხოვრებლებს ასეთი მდგომარეობა, ეს კი საეჭვოა, მაგრამ უადგილო და სრულიად უსარგებლო ნაციონალურ ანტაგონიზმს რომ გამოიწვევს, ეს კი ცხადია.

საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიის აზრი ჯერ კიდევ კანონი არ არის. მაგრამ ისიც საკმარისია, რომ აზრმა ამ მხრით დაიწყო მუშაობა. ეხლავე, ჯერ კიდევ სანამ დაგვიანებული არ არის, ყველამ, ვისაც კი ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი აინტერესებს, უნდა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და სათათბიროში დაბადებულ უკიდურეს ნაციონალისტურ აზრს საღი და საქმის ნამდვილი მდგომარეობასთან შეთანხმებული მოსაზრება დაუპირისპიროს.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

გაზეთ „რეჩში“ მოთავსებულია მაკარიის (ნ.-ნოვგოროდის) გუბერნატორ ხვოსტოვის საიდუმლო ცირკულიარის ისტორია, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ამზადებენ ნიადაგს მთავრობის აგენტები, რომ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში მთავრობის სასურველი დეპუტატები გაიყვანონ.

ამ ზამთრის დასაწყისში ხვოსტოვს საერობო უფროსებისთვის განსაკუთრებითი საიდუმლო ცირკულიარი დაუგზავნია. ცირკულიარი თურმე მეოთხე სათათბიროს არჩევნებს ეხებოდა და მრავალი ისეთი რამ ყოფილა მასში, რომ ხვოსტოვს დეკემბერშივე უკანვე მოუთხოვნია იგი და სასტიკად აუკრძალავს ასლის გადაღებაც კი.

როდესაც მისი ბრძანება სისრულეში მოიყვანეს, ხვოსტოვს დაუბარებია თვითეულ მაზრიდან ორ-ორი საერობო უფროსი და მათთვის შემდეგი დარიგება მიუცია: დაუყონებლივ გამოარკვიეთ, ვინ არის თქვენს ნაწილში არა საიმედო პირი და მემარცხენე მიმართულებისა. მათი სია შეადგინეთ და ჩემს ერთ-ერთ მოხელეს გადაეცით. არჩევნების დროს არა კეთილ საიმედო მღვდლებს სხვა მაზრებში მივანდობთ საქმეს, ხოლო ერისკაცთ კი რომელნიც სიაში მოხვდებიან, სხვა საშუალებით მოვიშორებთ თავიდან.

გახსოვდეთ, თქვენი ცდა მუდამ იქით უნდა იყოს მიმართული, რომ მთავრობის სასურველი პირები იქმნენ ამორჩეულნი, განსაკუთრებით გლეხების მიერ. საერობო უფროსები, რომელნიც ამ მხრივ ვერაკითარ სარგებლობას ვერ მოიტანენ, იძულებულნი იქნებიან, სხვა ადგილი მოსძებნონ.

არჩევნების დროს, თუ გლეხები **კეთილ-საიმედო პირს ამოირჩევენ,** სასოფლო კანცელარიის მწერალთნება მიეცით საარჩევნო ოთახში შესვლისა, ხოლო თუ ამორჩეულთა რიცხვში **არა საიმედონიც მოჰყვნენ,** ნურც მაშინ დაუშლით ოთახში შესვლას, რომ ოქმი შეადგინონ და **არჩევნები უკანონოდ გამოვაცხადოთ...**

ამის გამო გაზეთი „რეჩი“ სწერს:

მაკარიის გუბერნატორი ბ. ხვოსტოვი—ეს ილიოდორეა გუბერნატორის როლში. მმართველ ბიუროკრატიის ამ განებივრებულ ბალღს არა ერთხელ ჩაუყენებია იგი უხერხულ მდგომარეობაში თვისი მოქმედებითა და უადგილო გულახდილობით. ხვოსტოვის დასახელებული მოქმედებაც საარჩევნო კომპანიის შესახებ სწორედ ერთ ასეთ სამწუხარო უტაქტობას წარმოადგენს. უეჭველია, ცნობათა შემკრები ბიუროო“ ეცდება ჩვენ მიერ გამომქვანებულ ამბის „სიბუთებით“ დარღვევას.

სახელმწიფო სათათბირო

დ ე პ ე შ ე ბ ი.

როძიანკო თავმჯდომარეობს.

მსჯელობა უნდა იქონიონ 1908 წლის ხარჯთ-აღრიცხვის ასრულების თაობაზე.

სახელმწიფოს კანტროლიორი. კანონით ვერ არის გამორკვეული, სახელმწიფოს კანტროლიორმა რანაირი გარეგნობა უნდა მისცეს წარსადგენს ანგარიშებსაო. კანონი სახელმწიფო კანტროლს რევიზიის ანგარიშის წარდგენას არა სთხოვს და პრაქტიკას კი ჯერ მისი ფორმა ვერ შეუმუშავ ბიაო. საზოგადოდ, კომისიის მიერ წამოყენებული საკითხი დიდ შრომას მოითხოვს და თუ ამ მხრივ მუშაობას დაიწყებთ, ჩვენ საწინააღმდეგო არა გვექნება რა.

რაც შეეხება ხარჯთ-აღრიცხვის შედგენისათვის 1862 წელს გამოცემულ კანონს, მართლაც რომ ყველამ აღიარა მისი შეცვლის საჭიროება, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ეს საკითხი დაკავშირებულია სარევიზიო უწყებასთან და ყველაფრის შეცვლა უცებ არ შეიძლება.

საველიევი აღნიშნავს ზოგიერთ ხარჯის უმართებულობას და დასძენს, იმედი გვაქვს კომისიის აზრს დაეთანხმებიანო.

ეროპკინი. ხაზინამ რამდენიმე მილიონი იზარალა და კანტროლი კი აღნიშნავს, ყველაფერი რიგზეაო.

შიგნაროვი ერთ საათს ლაპარაკობს. 1809 წელს სპერანსკი სწერდა, კანტროლი დამოუკიდებელი უნდა იყვესო. მას შემდეგ ასი წელი გავიდა და ეხლაც იმას ვიმეორებთ, იმედი კი არა გვაქვს ჩვენის სურვილის ასრულებისა. კანტროლის დამოუკიდებლობა ფიქციაა, სათათბიროს ანგარიშს არ უჩვენებენ, ეგ უწყების საიდუმლოაო. ფული ხალხისაა, ხალხის წარმომადგენლები მოვალენი არიან მის დახარჯვას თვალ-ყური ადევნონ და პასუხიც აგონ (ტაშისცემა). ერთს უწყებასაც ვერ გაჩვენებთ სადაც უკანონო მოქმედება არ ერიოს (ტაში მემარცხენეთა).

კოვოლენკო პირველს საჭიროდ მიაჩნია სასმეტო და საკასო წესდების გადასინჯვა და შესწორება.

ძიუბინსკი. სახელმწიფო ფულს ხალხის საჭიროებისთკის არა ჰხარჯავენ. კომისიის ანგარიშმა ხალხის ფულის ხარჯვის სამწუხარო სურათი გადაგვიშალა თვალწინ. განა „შრომის ჯგუფელნი“ მართალნი არ იყვნენ, სათათბიროს რო ურჩევდნენ, 1908 წლის ხარჯთ-აღრიცხვას ნუ დაამტკიცებთ, ფულს უსამართლოდ ჰხარჯავენ და ხალხისთვის კი კაპეიკიც ძვირფასიაო? სათათბირომ მთავრობა უნდა აიძულოს, რათა იგი მეტის დამზოგველობით მოექცეს ხალხის ფულსა.

ტომილოვმა „შრომის ჯგუფელთა“ სახელით განაცხადა: მთავრობის ანგარიში უკოდინარობას, საქმის არევ-დარევას ჰმოწმობს, რის გამოც „შრომის ჯგუფელნი“ ყოველთვის წინააღმდეგნი იყვნენ ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა. კომისიის მოხსენება კი დამადასტურებელია მესამე სათათბიროს უნაყოფობისა და ხალხის ინტერესების უკოდინარობისა.

ფავორსკი საინტენდანტოს სამეურნეო ნაწილს ჰგმობს და მის გასაუმჯობესებლად რამდენსამე მოსაზრებას გამოსთქვამს.

საღამოს სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს. განსახილველია შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტება, ოდესის დროებით გენერალ-გუბერნატორის უკანონო მოქმედების გამო. მან ნოვოროსიის უნივერსიტეტის ოთხ პროფესორს ხელი შეუშალა თავის მოვალეობის ასრულებაში.

პილიპენკოს ოქტომბრისტების შემდეგი ფორმულა შეაქვს: სათათბირო მწუხარებას გამოსთქვამს მთავრობის მოქმედების გამო, რადგან თუმცა უკანონოდ იცნო თავის დროზე ოდესის გუბერნატორის ტოლმაჩევის მოქმედება, მაგრამ ხელი არ შეუშალა მას.

ნიკოლსკი. თუ მთავრობას უკანონოდ მიაჩნდა ტოლმაჩევის მოქმედება, ვალდებული იყო რაიმე გზით ხელი შეეშალა მისთვის.

გერასიმოვი. ამ შემთხვევაში მთავრობის მოქმედებას დაუდევრობას უწოდებს.

ნოვიცკი მე-2 სავსებით ეთანხმება შინაგან საქმეთა მინისტრს და აღნიშნავს: იმ რევოლუციონურ ხანაში, როდესაც ეგ ამბავი მოხდა, მინისტრს ნება არა ჰქონდა გუბერნატორის მოქმედებისთვის ხელი შეეშალაო. კენჭის ყრით ოქტომბრისტთა ფორმულა მიიღეს.

სათათბირო გადადის 1909 წელს სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევნების დროს ოდესის ქალაქის უფროს ტოლმაჩევის მიერ ჩადენილ უკანონობაზე და ამის თაობაზე მინისტრის მიერ მიცემულ განმარტების განხილვაზე.

პილიპენკომ ოქტომბრისტების სახელით შემდეგი ფორმულა წამოაყენა: ვინაიდან ტოლმაჩევის მოქმედების უკანონობა და სათათბიროს წევრთა არჩევნების თავისუფლების დარღვევა თვით მთავრობამ აღიარა. სათათბირო აღნიშნავს, რომ საჭიროა მთავრობამ თავის აგენტებს ფხიზლად ადევნოს თვალ-ყური და მორიგ საქმეთა განხილვაზე გადადის.

ნიკოლსკი. შინაგან საქმეთა მინისტრმა სრულიად ვერ დამაკმაყოფილა.

გერასიმოვი. არჩევნების დროს „საპაგრომო“ პროკლამაციებს ავრცელებდნენ და ებრაელებს აშინებდნენ, მონაწილეობა არ მიიღოთ არჩევნებშიო. ტოლმაჩევის მოქმედება არჩევნების თავისუფლად წარმოების ხელის შეშლაა, თუ ამნაირად გავიგებთ ოქტომბრისტთა ფორმულას კადეტები მისი მომხრენი არიან (მემარცხენენი ტაშს უკრავენ).

ტიმოშკინი. მემარცხენენი სახელგანთქმულ ტოლმაჩევს სამაგიეროს უხდიანო. ტოლმაჩევი სცდილობდა გათამამებულ ებრაელების შეჩერებას და მართლაც მესამე სათათბიროში განსვენებულ პერგამენტის მაგივრად ნაციონალისტი რენო ზის. ოქტომბრისტთა ფორმულა მიიღეს.

მოსასმენია მთავრობის განმარტება ვარშავის ციხის ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების თაობაზე.

შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე **ზოლოტარევი.** ტყუილია, ვითომც სოფიო ოჩარეკი გენერალ სკალონის მოკვლის განზრახვისთვის დაეპატიმრებინოთ. იგი სოკოლოვის სადგურთან გაძარცვისთვის დააპატიმრეს. ამიტომ ჟანდარმერიას ნება ჰქონდა ნამდვილი დამნაშავის ძებნისა. დაიჭირეს ოვჩარეკის რამდენიმე წერილი, რითაც გამოირკვა მისი პოლონელ სოციალისტთა პარტიის წევრობა. მთავრობას ბრალსა სდებენ: ნაფიც ვექილის სახელით ოვჩარეკს დაუახლოვდა დამცველ პოლიციის აგენტი პატეკი და ყველაფერში გამოსტეხაო. ეს შესცდომაა. ოვჩარეკმა თვითონ დაიბარა საიდუმლოდ პატეკი და როგორ შეიძლება პოლიციის აგენტი ჰგონებოდაო. ამიტომ მინისტრს თანამდებობის პირნი დამნაშავედ არ მიაჩნია (მემარცხენენი უსტვენენ, მემარჯვენენი ტაშს უკრავენ).

შემდეგ მოსასმენია მთავრობისავე განმარტება, რომელიც ეხება ამურის მხრის, ირკუტსკისა და თურქესტანის გენერალ-გუბერნატორთა მებადურობის თაობაზე გამოცემულ წესების უკანონობას.

მიწადმომწყობ სამმართველოს მთავარი გამგე **გრაფი იგნატიევი** აღნიშნავს, საერთო წესდების დარღვევა მოხდა, რადგან მდგომარეობა უკიდურესი იყოო.

მთავრობის განმარტებათა განხილვა შემდეგისთვის გადასდეს.

წაიკითხეს ოქტომბრისტების საჩქარო შეკითხვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი. იგი ეხება ადმინისტრაციის მიერ პეტერბურგისა და მოსკოვის გაზეთებისთვის გრიგოლ რასპუტინის თაობაზე რაიმე დაბეჭდვის აკრძალვას. ამ განკარგულების აუსრულებლობისათვის უკვე რამდენიმე გაზეთის ნომერი აუკრძალავთ და რედაქტორები სამართალში მიუციათ.

გუჩკოვი. შეკითხვის საგანი ძალიან სადაა! ადმინისტრაციამ გაზეთებს აუკრძალა იმის თაობაზე წერვა, რამაც მთელი რუსეთი აალაპარაკა და დაინტერესა. უკანონობა ამ შემთხვევაში ეჭვს გარეშეა, სამწუხარო დრო დაუდგა რუსეთსა; ხალხის სინდისი მეტისმეტად აღელვებულია. შუა საუკუნეთა საშინელება წარმოგვიდგა თვალწინ (მემარცხენეთა ხმა: „მართალია, სწორეა.“) ჩვენს სახელმწიფოში ვერ არის ყველაფერი რიგზე, საფრთხე მოელის ხალხის წმიდათა წმიდას. მერე, რას აკეთებს სამღვდელოება, წმიდათა წმიდის, საკურთხევლისა და მეფის დამცველნი რატომ ხმას არ ამოიღებენ? თავისუფალ პრესის პატრიოტული მოვალეობა მოითხოვს ხმის ამოღებას და ხალხის აღშფოთება-გამოსავალ გზას. გთხოვთ საჭიროდ აღიაროთ შეკითხვის სწრაფად განხილვა და თვით შეკითხვაც მიიღოთ,—დასძინა გუჩკოვმა (ცენტრელნი და მემარცხენეები ტაშს უკრავენ).

ლვოვი მე-2. რასპუტინი კვარცხლბეკზეა აყვანილი და საჭიროა მისი ცხოვრების პროზაში გათქვეფაო. შეუძლებელია ამ საიდუმლო საქმეში პრესას პირზე ხელი დავაფაროთ, არ ეკადრება ამნაირად მოქცევა დიდებულ ხალხსაო (ცენტრელების ტაში).

შეკითხვის სწრაფად განხილვის საჭიროება და თვით შეკითხვა მიიღეს დიდის უმრავლესობით მარტოოდენ ბარონ ჩერკასოვის წინააღმდეგ.

შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწემ ზოლოტარევმა განმარტება მისცა დონეც-იურევის მაზნეულობის ქარხანაში დამცველ პოლიციელ ხოროლსკის უკანონო მოქმედების თაობაზე. განმარტების განხილვა ოთხშაბათისთვის გადადეს.

კავკასიის სამეფო-ნაცვალი — მოადგილე ნიკოლსკი — განმარტავს, ძალიან შორაპნის მაზრის ადმინისტრატორის უკანონო მოქმედების თაობაზე შეკითხვის შემტანელთ. ნიკოლსკი დაწვრილებით ასწერს ამბავს და დაასკვნის: არც საგუბერნიო, არც დაბალ ადმინისტრაციას და არც სხვა მოხელეთ უკანონობა არ ჩაუდენიათ, პირიქით ადმინისტრაციამ თ-დ ამილახორის და სოფლელთა შორის მოსალოდნელ შეტაკებას ხელი შეუშალაო. განმარტების განხილვა ოთხშაბათისთვის გადასდეს.

შემდეგი სხდომა მოხდება პარასკევს.

სახელმწიფო საბჭო

აკიმოვი თავმჯდომარეობს.

საბჭო იხილავს საყოველთაო სწავლების კანონ-პროექტის განსაკუთრებითი კომისიის მოხსენებას.

მომხსენებელი შვარცი ეთანხმება კომისიის უმრავლესობას, რომელთა აზრი სათათბიროს რედაქციიდან იმითი განსხვავდება, რომ 10 წლის განმავლობაში პირველდაწყებითი სკოლების კრედიტს ათი მილიონით კი არ აღიდებს, არამედ ცხრა მილიონით. მომხსენებელი იცავს უმრავლესობის აზრს და ამბობს; უეჭველია, უმცირესობა ჰშიშობს, თუ კანონ-პროექტში სამრევლო სკოლებს არ მოვიხსენებთ, ძნელი იქნება მათი საჭიროებათათვის გაძლიერებულის თანხიდან ხარჯის გადიდების სისრულეში მოყვანაო.

უმცირესობის აზრს იცავს **ზვერიევი:** წინააღმდეგი ვარ სამრევლო სკოლების უყურადღებოდ დატოვებისა. უმრავლესობის პროექტი უპირატესობას სამინისტროს სკოლებს ანიჭებს. მიკვირს, რით დაიმსახურეს სამრევლო სკოლებმა ასეთი წყალობა კომისიის უმრავლესობისა.

სხდომის შეწყდომის შემდეგ **გრაფი უვაროვი,** რომელსაც უმცირესობის აზრზე უწერია ხელი, განმარტავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვთ სამრევლო სკოლებს ერობათათვის, სხვათა შორის ორატორს მრავალ ერობათა დადგენილებანი მოჰყავს, სადაც აზრია გამოთქმული სამრევლო სკოლების დახმარებისა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. ჯერ ის გამოარკვიეთ, საბჭო აღიარებს თუ არა კრედიტის ფიქსაციას.

კრედიტის ფიქსაციის წინააღმდეგ განსაკუთრებითი აზრი შიპოვმა წარმოადგინა. **მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე** ეთანხმება შიპოვს, რომ კრედიტის რამოდენიმე წინასწარი დაადასტურება სახელმწიფო მეურ-

ცხოვრება ხელოვნება

„მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი“,

დრამა 3 მოქმედებად ი. გედევანიშვილისა ქართულ სცენაზე.

„მსხვერპლი“ და „სიმახინჯე“ ორი დრამაა, რომელმაც საზოგადოების *) ყურადღება სრულიად სამართლიანად დაიმსახურა და ჩვენს დრამატიულ ლიტერატურაში იმ თავითვე საპატიო ადგილი დაიჭირა.

„სიმახინჯის“ შესახებ ჩვენი აზრი გაცნობილი აქვს მკითხველ საზოგადოებახ. ეხლა გვინდა „მსხვერპლის“ შესახებ ვიბაასოთ.

არ შეიძლება კაცმა იმ თავითვე არა სთქვას, რომ როგორც დრამატიული ნაწარმოები „მსხვერპლი“ დაბლა სდგას „სიმახინჯეზე“. ეს მეორე ნაწარმოები სავსებით აკმაყოფილებს თვით უფრო ჟინიან მოთხოვნილებას დრამატიულის ესტეტიკისას. ამ შემთხვევაში „მსხვერპლი“ ხშირად დიდის ნაკლულევანებით არის აღსავსე. მაგრამ უნდა დავუმატოთ, რომ სამაგიეროდ სიუჟეტი, არაკი დრამისა ბევრად უფრო საინტერესოა, თვით მასალაც კი ბევრად უფრო გამოსადეგია დრამატიულის ნაწარმოებისათვის. შეიძლება თვით ავტორის გამოუცდელობის ბრალი იყოს ესა, (რამდენადაც ვიცი, ეს პირველი ნაწარმოებია ავტორისა), შესაძლებელია თვით ქართულის დრამატიულის ხელოვნების მდგომარეობას დაედვას ამაში წილი, მაგრამ ჩვენგან აღნიშნული სისუსტე დრამატიულის ხელოვნებისა „მსხვერპლში“ უეჭველია. სამაგიეროდ ფრიად მდიდარი შინაარსისაა, ძლიერ ღრმა ფილოსოფიაა და თუ გნებავთ უკეთესი იქნება რომ ვთქვათ მეტად თვალსაჩინო პუბლიცისტური ფილოსოფიაა შიგ.

*) „დრამები და კომედიები“, გამოცემა „სორაპნისა“.

ყოვლის ეჭვს გარეშე ავტორის ნიჭის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ სიუჟეტი ამოღებულია ცხოვრებიდან, იმნაირის ცხოვრებიდან, რომელიც ზღვასავით აბობოქრებული იყო და ტალღას ტალღებზე ისროდა, ერთი მეორეზე უფრო ძლიერს; იმნაირის ცხოვრებიდან, რომლის შუაგულში ცეცხლი და მახვილი ტრიალებდა—და ამ ფაქტის განხილვა, განსჯა ავტორმა შესძლო ისეთის მიუდგომლობით, ისეთის დამშვიდებულის გრძნობითა და აზრით.

რასაკვირველია, ის ვერ იმწერლებს, ვინც ცხოვრების მოვლენათა თვით მარტივ შთაბეჭდილებას ძლიერად ვერ განიცდის, ვინც ყოველს მოვლენას მსოფლიოსას ვერ გადაადუღებს თავის გულსა და სულში, თავისებურ გამოძახილს ვერ შეჰქმნის ყოველ უბრალო მომაკვდავთათვის თვით შეუმჩნეველ განწყობილების გამო. მაგრამ მწერალი თუ გრძნობიერი აპპარატია, იგი გონებით მოსილი მსაჯულიც გახლავთ, ერთგვარი ამწონ-დამწონავია მოვლენისა, რომელმაც უნდა მოვლენას ბრძნულად შეხედოს. მშრალი გონება და ცეცხლ მოკიდებული გრძნობა ერთად შედუღებული უნდა ჰქმნიდეს ხელოვნურ ნაწარმოებს, ეს იმას სრულიადაც არა ნიშნავს, რომ ხელოვანი განყენებულ სარკეს წარმოადგენდეს, რომელშიაც ყოველივე მოვლენას ერთნაირი მასპინძელი დახვდება ხოლმე. არა იგი მეხთა მტეხი იყოს ერთ შემთხვევაში და განმაცხოველებელი მზე მეორეში, მაგრამ ორსავე შემთხვევაში მისგან

დახატული სურათი, მისგან გამოთქმული გრძნობა უნდა დამჯდარი იყოს, წინდახედული და გონების დარჯაკში გატარებული, მწერალი იმპულსების მონა კი არ უნდა იყოს. ყოველივე მისი სიტყვა, მისი ხატება მკითხველის გონებასა და გრძნობაზე წარუხოცელ შთაბეჭდილებას უნდა ახდენდეს.

აი ეს მიუცილებელი თვისება ხელოვანისა ცხადად სჩანს ამ ნაწარმოებში.

არ შეიძლება მწერლის გონიერებისა და გრძნობის ნაშთის შედეგი არ იყოს ისეთი ნაწარმოები, რომელიც, მოგახსენებთ, ასეთ საშინელს დროს ეხება და თანაც ახერხებს ამ უცნაურ შეტაკებისა და ომის ველზედ გაარჩიოს ყოველივე აჩრდილი და ნათელი, გაითვალისწინოს ვინ როგორ იბრძვის, რა ტემპერატურა აქვს მებრძოლს და ეს არ იკმაროს და თვით სულის ჯურღმულში ჩაეხედოს მეომარს და თვალწინ გადაგვიშალოს თავზარ-დამცემი და წარმტაცი არსი ამ სულის უფსკრულისა.

ავტორი იკვლევს განმანთავისუფლებულ მოძრაობის ფსიხოლოგიას და დიად საქების გამჭრიახობით ამ ფსიხოლოგიის სხვა და სხვა სურათებს თვალწინ გვიხატავს. მის ძიებას სრულიადაც არ აქვს წინადაღებული პუბლიცისტური გინდ ისტორიულ- ფილოსოფიური მიზანი, ეს თავის თავად ხდება, თავისთავად თვალწინ ეშლება მკითხველს ამ დიადი მოვლენის სხვა და სხვა მომენტები.

არაკი სრულიად მარტივია. სოფელში „ეკზეკუცია“ უნდა ჩაყენონ, იმიტომ, რომ დარაჯს ყელი გამოსჭრეს და მისი თოფიარაღი წაიღეს. მაგრამ ბოქაული წინადადებას აძლევს ხალხს წარმოადგინეთ დამნაშავე ორის საათის განმავლობაში, თუ გინდათ სასჯელი თავიდან აიცილოთო: კლერათა სოფელი აბასა და აწიოკებას გადაარჩინოს სოფლის ახალგაზდა ვანო ბრალს თავის თავზედ მიიღებს და ვანოს უდანაშაულოს ჩამოახრჩობენ. სოფელი კი ყოველივე შეწუხებას მორჩება.

ეს სრულიად მარტივი და ჩვეულებრივი, ყოველ დღიური ამბავი იმ ხანისა ნიჭიერის ავტორის ხელში გარდაიქცევა სარჩულად სოციალური ფსიხოლოგიის დრამისა, თუ გნებავთ ისტორიულ-ფსიხოლოგიურ ტრაგედიისა. ჯერ ერთი ვანო არაფერ შუაში არ არის იმ დანაშაულში, რომელიც სოფლელებს ედებათ ბრალად, დარაჯს ყელი გამოსჭრა და თოფ-იარაღი ძოჰპარა მეორე სოფლის ახალგაზდა გიგუამ, ვანოს ვითომდა მეგობარმა და ნათლი მამამ. და აი ამ ფაქტის გარეშემო გადაგვეშლება თვალწინ ორგვარ გმირის სულის კვეთება, ვინაიდან ვანოცა და გიგუაც „შეგნებული ამხანაგები“ გახლავან. ამ ორ ადამიანის ფსიხოლოგიის დახასიათება წინ აღგვიმართავს და ნათელს გვიყოფს ავტორის ისტორიულ სოციალურ შეხედულებას ამ ეპოქის შესახებ.

ნამდვილი საღი მსჯელობა უეჭველად ის უნდა დავსახოთ, რომელიც ცალ-მხრივი არ არის, რომელიც არა სცდილობს საშინელის დიადის მოვლენის ერთი რომელიმე ყურე გაანათლოს ან მისი ნათელი მხარე გადიდოს, გინდ ბნელ მხარეს გადაჰარბებული მნიშვნელობა მისცეს; და აი, სწორედ ამ ნიადაგზე სდგას ჩვენი ავტორი. ავტორი გვიჩვენებს სინამდვილეს უტყუარს. მისი ნაწარმოებიდან ჩვენ შემდეგი აზრი გამოგვაქვს: ყოველივე საზოგადოებრივი არაჩვეულებრივი მდგომარეობა ძლევა-მოსილია და თავ-ზარ დამცემი. იგი თავისებური იარაა საზოგადოების ხანგრძლივის ავადმყოფობის შედეგი. იარა სასიკვდილო არ არის, ვინაიდან ავადმყოფს გახრწნილების ნიშანთან ხშირად სიცოცხლის ნიშნებიცა აქვს და ორგანიზმის ძლევა-მოსილებაზეა დამოკიდებული ან გადარჩენა ან დაღუპვა.

ავადმყოფი სხეული, რასაკვირველია ავრცელებს გარშემო ყოველივე სიდუხჭირეს, რაც კი ავადმყოფობასა სდევს, და აი ამ გვარ ავადმყოფ საზოგადოებას უნდა ჰყავდეს ისეთი შვილები, როგორიც გიგუაა.

გიგუა პირუტყვია; იგი პირადის განცხრომისა და პირადის სიამოვნების მეტს არას დაგიდევს. მისი ღმერთი პირადობაა, პირადი სიამოვნება-დაკმაყოფილებაა. იგი გაცრცვნილია ყოველგვარი ადამიანურის გრძნობისაგან. მას მეგობრობა პირად სასარგებლო იარაღად მიაჩნია, მეტად არაფრად. ამიტომაც თავისს მეგობარ ვანოს საყვარელ ქალს გულიდან მოაგლეჯს და თვით შეირთავს. ამაში სჩანს ისიც, რომ იგი ყოველივე კეთილშობილებას მოკლებულია, ვინაიდან ირთავს ქალს მისი ნებისა და სურვილის წინააღმდეგ და ისიც იმ დროში, როცა თავბრუდამხვევის თავისუფლების აზრებით იყო ყველა გატაცებული და დამთვრალი და რომელსაც თვით წარამარა ჰქადაგებდა.

გასაკვირველი და გასაოცარი იქნებოდა, რომ დასნეულებულ ავადმყოფ საზოგადოებრივ ორგანიზმს ისეთი ბაცილები არ წარმოეშვა, ისეთი შხამი არ დაენთხია, როგორიც გიგუაა, მაგრამ ხშირად ჯანრიზისი ორგანიზმისა გაუმჯობესების მომასწავებელია, და ამის დამამტკიცებელი საბუთი ვანოსთანა შვილებია ხალხისა.

ვანო კი სულით სპეტაკია, გრძნობა მაღალი, ღვთაებრიეობით აღბეჭდილი ადამიანი. ის თავგანწირული მიჯნურია, სიცოცხლის მეგობრისთვის ადვილად დამომბი, საზოგადოებისათვის სცხოვრობს, იგი მოწამეა იდეალობისა და საზოგადოებრივობის. მისთვის არ არსებობს არავითარი პირადი, იგი კერძო საქმეშიაც კი სხვისი მსხვერპლია, და საზოგადოების ინტერესების ხომ თავდაუზოგავი მოსარჩლეა. იგი დასთმობს მეგობრისთვის თავისს სიყვარულს, იგი დასთმობს თავისს ლამაზ და ძალ-ღონით აღსავსე სიცოცხლეს ამავე მეგობრისა და საზოგადოებისთვის. რამდენად გიგუა თავაშვებული პირუტყვია, იმდენად ვანო ფაქიზი და წმიდაა, რამდენად გიგუა ტლანქია და ურჩი, ბრიყვი და ხეპრე, იმდენად ვანო ნაზია და წრფელი, გულ-ჩვილი და თანაც რაინდი და გმირი. იგი რომანტიკოსია და არც შეიძლება არ იყოს ეგრეთი, ვინაიდან ქვეყანას თავისი წმინდა არსების თვალით ჰხედავს და ქვეყანა ანგელოზთა საბუდრად მიაჩნია. იგი რომანტიკოსია, რომლის უდიადესი იდეალები დამარცხდნენ და ამ დამარცხებამ სიცოცხლე მოუსპო და სასიკვდილა წარუწყმიდა. მას მეგობრობა წმიდა საქმედ მიაჩნდა... „რას იტყვი შენა—ეუბნება ის თავის ამხანაგ მიხას — „რომ საუკეთესო ძმამ, ამხანაგმა, იმ კაცმა, რომელიც პატიოსნებით სავსე გეგონა, შენი ნდობა დაჰკარგოს, სულ სხვა კაცად გეჩვენოს...“ ბ. გედევანიშვილის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს იგი, რომ ორივე მხარე, ორივე მომქმედი პირი განმანთავისუფლებელ მოძრაობის ორნაირის ჯგუფისა, ასეთის სინათლით გაგვიშუქა და ასეთის სიცხადით თვალწინ დაგვიყენა. „შენ, შენ და სულ შენისთანებმა დაღუპეს ჩვენი წმიდა საქმე, შენისთანებმა დაღუპეს ჩვენი ერთობა...“ ეუბნება

ნეობის ნამდვილ წარმატებას ეწინააღმდეგება, მაგრამ ხშირად ცხოვრება გვაიძულებს ასეთი რა მის ჩადენასაო. გარდა ამისა უფრო ხანგრძლივი ფიქსაცია დაადასტურეს საკანონმდებლო დაწესებულებათ ამურის გზის გაყვანის თაობაზეო. იმაზე უფრო უწმიდესი მოთხოვნილება არ მოიპოვება, როგორიც პირველ დაწყებითი განათლებაა. სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში არ არის სხვა საკითხი, რომელშიაც ბიუჯეტის ინტერესები საქმის ბუნების ინტერესებს უნდა დაექვემდებაროსო. რუსეთს ესაჭიროება ისეთი სკოლა, სადაც მცხოვრებლებს მოამზადებენ ნაყოფიერ მუშაობისათვის და სადაც მათ ქრისტეს მცნებასა და მეფის ერთგულებას ჩაუნერგავენ. ასეთ სკოლების კრედიტის ფიქსაცია ზიანს ვერ მოუტანს ხარჯთ-აღრიცხვას. ორატორი მოითხოვს, ასეთ სკოლებს სახსარიც უნდა გამოვუნახოთო. სამრევლო სკოლების შესახებ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამბობს, რომ მთავრობას არასოდეს არ ჰქონია აზრად მათი სამინისტროსთვის დაქვემდებარება. იგი დასძენს: თუ საბჭო კრედიტს ორივე უწყებას არგუნებს, მთავრობაც ამ აზრს მიემხრობაო.

სინოდის ობერ-პროკურორი ამტკიცებს, რომ კრედიტის ფიქსაცია სამრევლო სკოლებზეაც უსათუოდ უნდა გავრცელდესო. კამათის დროს მინისტრების ღიოჟაში მინისტრთა მთელი კაბინეტი იმყოფებოდა.

შემდეგი სხდომა ხვალ მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა** სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა 4,800 მან. გადასდოს სამოქალაქო და ორკლასიან სასწავლებელთა მასწავლებლებისთვის ბუნების მეტყველების კურსების მოსაწყობად. კურსების მოწყობა მომავალ ზაფხულისთვის არის განზრახული.

✦ **ალექსანდეს სახელობის საქალაქო საავადმყოფოს** შენობის აგება მოკლე ხანში დასრულდება. იმედი აქვთ, რომ საავადმყოფო პირველ მაისისთვის გაიხსნას.

✦ **ხორცის ნიხრის** გამო 24 იანვარს მსჯელობა იქონია ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიამ და დადგინა, ახალ ნიხრის დაწესება დროებით გადასდოს, ვიდრე ყველა ხარისხის ფქვილის ფასებს შეიტყობდეს. კომისიას შემდეგი კრება ამავე საგნის თაობაზე ამ კვირაა ექნება.

✦ **ცისარტყელა.** გუშინ, 26 იანვარს, დილით (რვა და ცხრა საათს შუა) ტფილისში ცისარტყელა გამოჩნდა. ამ დროს წვიმა ცოტა სცრიდა კიდეც.

✦ რედაქციამ მიიღო **ახალი წიგნი:** „სიკვდილი ჩრდილოეთში“ დრამატიული ეტიუდი 1 მოქმედებად (გადასახლებულთა ცხოვრებიდან) სეზმან ერთაწმინდელისა. წიგნი პატარა ფორმატისაა, შეიცავს 16 გვ. და ღირს შაურად.

✦ **სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა არჩევნების** დრო მოახლოვდა და ტფილისშიაც იწყება საარჩევნო სამზადისი. ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა განკარგულება მოახდინა, რათა ქალაქის სასტატისტიკო ბიუროს გამგემ წინასწარ საარჩევნო მუშაობის გეგმა დაზარჯთაღრიცხვა შეადგინოს და ქალაქის გამგეობას წარუდგინოს.

✦ **ქალაქის საბჭოს** კრებაზე, რომელიც 30 იანვრისთვის არის დანიშნული, სხვათა შორის, არჩეულ იქმნებიან საუნივერსიტეტო და საბალნეოლოგო კომისიები.

✦ **ქალაქის საბჭოს კომისიების** თავმჯდომარეებად აირჩევენ: სატრამვაიო-მ. ნ. ვესელოვზოროვი, სატყეო-საბაღოსნო — მ. ი. სვეშნიკოვი, სარკვიზიო—ი. ნ. ხუნუნცი და ღარიბთა სახლების გამგე — ნ. ნ. ოსტროგორსკი.

✦ **ქალაქის ლომბარდის არსებობის 25 წლის თავი** 1 მარტს სრულდება. ქალაქის გამგეობას აზრად აქვს ეს დღე რითიმე აღნიშნოს.

✦ **ტფ. გუბერნატორმა ნება დართო** ტ. ა. აბაშიძეს, გამართოს 3 თებერვალს თელავის საზოგადო საკრებულოში სამასკარადო საღამო ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების თელავის განყოფილების სკოლის სასარგებლოდ.

✦ ჩვენმა რედაქციამ მიიღო ბ. კონსტანტინე გვარამაძისაგან ახალციხეში შეკრებილი **ქ-ნ მარიამ საფაროვ-აბაშიძის** ფონდის გასაძღერებლად 41 მ. 37 კაპ.

✦ **კავკასიელი მოჯირითენი დასავლეთ ევროპის ცირკებში.** ბერლინიდან მოსული ახალგაზდა გერმანელი როგორც „ვლ. ლისტ.“ გვატყობინებს კავკასიის ახალგაზდათა შორის არჩევს განთქმულ მოჯირითეთ, მომღერალთ და მოცეკვავეთ ბერლინის ერთ-ერთ ცირკისათვის. აგენტის სიტყვით, ცირკი დასავლეთ ევროპის ყველა მნიშვნელოვან ქალაქს შემოივლის.

✦ **გუბერნატორმა ნება დართო** კნეინა ჯანდიერისას, ყველივრის კვირას **სიღნაღში** საქველმოქმედო საღამო გამართოს ადგილობრივ საქალაქო და სამრევლო სკოლის სასარგებლოდ.

✦ **ლიუტერანთა სარწმუნოების მიღების ნება მიეცა** მართლ-მადიდებელს, ნადვორნი სოვეტნიკის ქალს, ე. კ. ნაიდენოვსა.

✦ **მამადავითის პირველ-დაწყებით საქალაქო სკოლის მასწავლებელნი** მადლობას სწირავენ ი. პ. ფალიაშვილს, რომელმაც ამ სკოლის მოსწავლეებს 29 იანვრისთვის ოპერის ბილეთები უფასოდ დაუთმო.

✦ **ქალაქის თავშესაფარისა და ღარიბ სახლის გამგე კომისიას** პირველი კრება დღეს ექნება.

✦ **ქალაქის საბჭოს კომისიების მოქმედების ანგარიშები** 1910 წლის შედგენილ იქმნა და უკვე ცალკე წიგნაკად გამოვიდა.

✦ **ქალაქის საბჭოს ახალმა ხმოსანმა ა. ს. აპრიამოვმა,** რომელიც ხმოსნად არჩევამდე ქალაქის ბუხჰალტერიაში მსახურებდა, გუშინ ქალაქის გამგეობას განცხადება წარუდგინა, ხმოსნობას თავს ვანებებო. ამასთანავე სთხოვს, ძველი ადგილი კვლავ მომეცითო.

✦ **ძმ. ზუბალაშვილებმა ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარს** გამგეობას აცნობეს, რომ მაფ გადაუწყვეტიათ, საზოგადოების განკარგულებაში მყოფი **სატიპენდიო თანხმა,** რომელიც 1912 წლის 1 იანვარს გათავდა, კვლავ აღადგინონ. ამ აზრით მათ 20,000 მანეთი გადაუდვიათ.

✦ **ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლის გამგე კომისიას** ქალაქის საბჭო 6 თებერვალს აირჩევს.

✦ 25 იანვარს ტფილისში 1,8 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების,** თავადარ გამგეობის წევრთა უკანასკელი კრება 24 იანვარს მოხდა. გამგეობამ განიხილა თხოვნა დიდუბის სამკითხველოს გამგის ა თუთაევისა, რომელიც სამკითხველოსთვის ყოველ-წლიურ დახმარებას თხოულობდა და დაადგინა: დაუნიშნოს სამკითხველოს დახმარება, მხოლოდ რამდენი, ამაზე ხარჯთ-აღრიცხვის დროს იქონიებს მსჯელობასა. განხილულ იქმნა აგრედვე განცხადება საგურამოს სკოლის მასწავლებლის ბ-ნ რამინიშვილისა. განცხადებიდან სჩანს, რომ სკოლაში, რომელსაც წერა-კითხვის საზოგადოება ინახავს ილიას ფონდით, მოსწავლეთა რიცხვი ერთობ მცირე ყოფილა, რის მიზეზადაც მასწავლებელი ასახელებს სკოლის სიშორეს სოფელზე, და შარშან ამ სკოლაში მომხდარ ამბავს (მოკლულ იქმნა სკოლის მსახური) მასწავლებელს საჭიროდ მიაჩნია სკოლის გადატანა შიგ სოფელში. გამგეობამ დაადგინა: დაავალოს გამგეობის წევრებს ა. თ. ყიფშიძეს და ლ. გ. ბოცვაძეს, ადგილობრივ გამოარკვიონ სკოლის ვითარება და თავისი მოსაზრებანი გამგეობას შემდეგ კრებისთვის წარმოუდგინონ.

✦ **ბუნების მეტყველთა და ექიმთა მეგ-ეარების** მომწყობ კომიტეტს 28 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში მეხუთე კრება ექმნება.

✦ **ტფ. საბირჟო კომიტეტის** კრება 25 იანვარს მოხდა. განიხილა საკითხი ჯულფაში საანატორიუმო კახტორისა და ხაზინის გახსნის შესახებ. ამ დაწესებულებათა გახსნა კომიტეტმა საჭიროდ დაინახა და ს. გ. გალსტიანს დაავალა, შესაფერ შუამდგომლობის პროექტი შეადგინოს და შემდეგ კრებისთვის კომიტეტს წარუდგინოს.

ქუთაისი.

✦ 23 იანვარს მოხდა **ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა,** რომელსაც დაესწრო 33 ხმოსანი. 39 საქმიდან მოასწრეს 22 საქმის განხილვა. მათ შორის დიდი კამათი გამოიწვია ზოგიერთ პირთა თხოვნამ უძრავი მამულების დადებულ გადასახადის შემცირების თაობაზე. ეს მამულები შარშან შეუფასებია ქალაქის დამფასებელ კომისიას. დაფასება არ მოსწონებია ქალაქის გამგეობას და თავის მხრივ მიუმატებია შეფასების რაოდენობა. საბჭომ გამგეობის მიერ მოხდენილი ზოგიერთი მამულის შეფასება გადაჭარბებულად სცნო და ისევ კომისიის შეფასება დასტოვა. საბჭომ კამათს შემდეგ მიიღო ხმოსან ა. ჩარკვიანის წინადადება, აღიძრას შუამდგომლობა, რათა 1910 წლის 6 ივლისის კანონით შემოღებული სახელმწიფო გადასახადის 6% და 3%-დე შემცირდეს, რონ სახაზინო გადასახადის ერთი ნაწილი ქალაქის სასარგებლოდ გადაიდვას და სახელმწიფო გადასახადის გაწერის დროს მიიღონ საქალაქო გადასახადების ნორმა.

დაუსრულებელი კამათი გამოიწვია საკითხმა:—ქალაქის წყალსადენისა, ელექტრონით განათებისა და ტრამვაის გაყვანისამ. საბჭომ ხმოსან იურისტებს მიანდო მსჯელობა იქონიონ, უფლება აქვს თუ არა ქალაქს დაარღვიოს ბ. კონცელთან და დადიანთან დადებული წინასწარი ხელშეკრულება წყალსადენის კონცესიისა.

✦ დრ. საზ. წევრთა არაჩვეულებრივი კრება დანიშნულია კვირას, 29 იანვარს, დილის 11 საათზე.

✦ წვრილ კრედიტის ინსპექტორი წინადადებას აძლევს ყველა განყოფილებას და თავის დაწესებულებას, რომ სასურველია მათ გამოიწერონ ორი ჟურნალი „Вѣстникъ мелкаго кредита“ ‡ ქართული „კოოპერაცია“.

სოფლთა ცხოვრებიდან

✦ **სოფლთა საქველმოქმედო საზოგადოების საბჭოს** სოფ. ბერთის (შამშადინის მაზრა) მცხოვრებლებმა სურვილი განაცხადეს, ამ სოფელში საზოგადოების განყოფილების გახსნისა.

✦ **მასწავლებელთა და სასწავლებელთა ფონდის** სასარგებლოდ ტფილისის საკრებულომ სამასი თუმანი გადასდო.

გორი.

✦ **უბედური შემთხვევა.** სოფ. ერედვის მცხოვრებ ნიკოლოზ ბერუაშვილის ქალს—მარიამს საფანტით გატენილი თოფი ეჭირა და ათამაშებდა. თოფი უცაბედად გაუვარდა და საფანტით თავისი და ნადეჟდა თავში დასჭრა. დაჭრილი ერთი საათის შემდეგ გარდაიცვალა.

კავკასი.

✦ კავკასის რკინის გზის უფროსს თერგის ოლქის უფროსისათვის შეუტყობინებია, რომ სადგურ ჩერვლენიდან ყიზლიარამდე რკინის გზის გაყვანას 1913 წ. ადრე ვერ შევუდგებითო. ამ დროისთვის აზრადა ჰქონიათ დაამთავრონ პროხლადნაია-ჩერვლენის შტო და სადგურ გუდერმესთან მდინარე თერგზე დიდი ხიდი გააკეთონ.

საქალაქო სკოლების დაარსების ისტორია რუსეთში და ჩვენში.

ჩვენში თითქმის ყველა ქალაქში არის გახსნილი ეგრედ წოდებული საქალაქო სკოლა. 40 წელიწადი შესრულდა, რაც ჩვენი ხალხი სარგებლობს ამ სკოლებით. ავად თუ კარგად, უმეტესი ნაწილი ჩვენის ახალგაზდობისა იღებს მასში ცოდნას და ბევრი ამ ცოდნით გამოდის ცხოვრებაში. შეტი არ იქნება თუ 40 წლის თავზე გაგაცნობთ ამ ტიპის სკოლების ისტორიას რუსეთში და ჩვენში.

ეკატერინე მეორის დროს არსებობდა ორი ტიპის სკოლა: სოფლებში—ორკლასიანი დაბალი სკოლები და ქალაქებში კი ეგრედ—წოდებული „უმთავრესი სკოლები“. დაბალ სკოლებში ასწავლიდნენ: სამღვთო სჯულს, კითხვას, წერას და გრამატიკას. მხოლოდ „უმთავრეს“ სკოლებში კი ყველა ზემო ჩამოთვლილ საგნების გარდა ასწავლიდნენ ისტორიას, გეოგრაფიას, ბუნების მეტყველებას, ფიზიკას, გეომეტრიას და სხვებს. გადასვლა დაბალ სკოლიდან „უმთავრეს“ სკოლებში ხდებოდა უეგზამენიოთ. ამ გვარ ტიპის სკოლებმა იარსებეს რამდენიმე წელიწადი.

ალექსანდრე პირველის დროს 1804 წელს მიაქციეს ყურადღება სწავლა-აღზრდის საქმეს. ამ ხანში დაარსებული იქმნა სამი ტიპის სკოლა. დაბალი ტიპის სკოლა, რომელშიაც სასწავლო კურსი განისაზღვრებოდა სამის წლით. ამ გვარ ტიპის სკოლებში ასწავლიდნენ წერა-კითხვას, სამღვთო-სჯულს, ანგარიშს და სხვებს. მეორე ტიპის სკოლა იყო სამაზრო სკოლა. სამაზრო სკოლაში გადიოდნენ ყველა იმ საგნებს, რასაც გადიან დღეს საქალაქო სკოლებში, ცოტა შემოკლებით. მესამე ტიპის სკოლა იყო საგუბერნიო სასწავლებლები, ანუ ეხლანდელი პროგიმნაზიები, ოთხი წლის კურსით. ამ რიგად 1804 წლის კანონით არსებობდა სამი ტიპის სკოლა: დაბალი, სამაზრო და საგუბერნიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა იყო მიზანი ამ გვარ ტიპის სკოლების დაარსებისა? ეტყობა, ამ ტიპის მიზანი ის იყო, რომ დაბალ სკოლის გათავების შემდეგ ყველას შესძლებოდა გადასულიყო სამაზრო სკოლაში. ამის შემდგომ კი საგუბერნიო სკოლაში და შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში. ასე და ამ გვარად არსებობდა ერთი სკოლა და ერთი ტიპის სკოლის გათავების შემდეგ ის გადადიოდა უფრო უმაღლეს ტიპის სკოლაში და ამ გვარად იღებდა უმაღლეს შესაფერ ცოდნას. საუბედუროდ, ამ ბედნიერმა ხანამ დიდ-ხანს ვერ იარსება რუსეთში და ცამეტი წლის არსებობის შემდეგ მოისპო. ეს იყო 1817 წ., როდესაც საგუბერნიო ოთხკლასიანი პროგიმნაზიები გადაკეთებულ იქმნენ შვიდ კლასიანად. შვიდ კლასიან გიმნაზიის კურსს სხვა საგნებთან ერთად მიუმატეს ლათინური ენაც. ამის შემდეგ სამაზრო სკოლიდან გადასვლა საგუბერნიო სკოლაში არას გზით არ შეიძლებოდა. ამ რიგად გიმნაზიები აღარ შეადგენდნენ სამაზრო სკოლების გაგრძელებას. ამ ორ სკოლას შორის დაიდო დიდი საზღვარი, ჩატყდა ხიდი. ეს ახალი დებულება დააკანონეს 1828 წელს. ჩემის აზრით, განსაკუთრებით საქართველოზე ეს კანონი სრულიადაც არ მოახდენდა რაიმე გავლენას: სად შეეძლო იმ დროინდელ ქართველობას წასულიყო სადღაც შორს, ცივ რუსეთში და მიეღო უმაღლესი სწავლა! ამ დროს არ არსებობდა იმნაირი მისვლა-მოსვლა როგორიც არსებობს დღეს.

რა იყო მიზეზი, რომ იქმნა შეწყვეტილი სკოლების ერთი მეორისაგან დამოკიდებულება? რათ ჩასტეხეს ხიდი? რად მოუსპეს გადასვლა ერთი სკოლიდან მეორეში?

დ. ბურჭულაძე.

(დასასრული იქნება)

ხმა სამტრედიიდან

კვირას, 22 იანვარს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან არსებულმა სექციამ გამართა საიუბილეო წარმოდგენა **მარიამ საფაროვ-აბაშიძის** 30 წლის სასცენო ასპარეზზე მოღვაწეობის გამო.—

წარმოადგინეს **აზიანის** 3 მოქმედებიანი კომედია „ფული და ხარისხი“. —

წარმოდგენის დაწყების წინ **ი. სტურუამ** მოკლე რეფერატი წაიკითხა.

რეფერატი ლამაზი და გასაგები ენით იყო დაწერილი. როგორც გამოირკვა დამსწრეთა მეტი ნაწილი სრულიად ვერ იცნობდა თურმე საყვარელ მსახიობ ქალს და მის დაუფასებელ სამსახურს ქართულ სცენაზე.

გაცხარებული მიხა გიგუას. „წმიდა საქმის“ მოციქულობა ვანოსთანაებს ერგო და მათ შეაყვარეს, შეასისხლხორცებინეს ხალხს „ერთობა“. გიგუასთანა ვაუბატონებმა იკისრეს „წმიდა საქმის“ გამცემლობა, იუდობა და კიდევაც დაღუპეს იგი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. თუ დამპალი სხეული მარტო ისეთს ნაყოფს იძლეოდეს, როგორც ვანოა, მაშინ საზოგადოებრივი გახრწნილება იქმნებოდა კაცობრიობის იდეალი, და ეს ხომ წინააღმდეგი იქმნებოდა ლოდიკისა და მეცნიერებისა, სიცოცხლისა და მშვენიერებისა. ხოლო რაც უნდა ავადმყოფი იყოს საზოგადება და ერი, რანაირ კრიზისსაც არ უნდა განიცდიდეს, თუ კი მას ძალუძს ვანოსთანა ადამიანების შექმნა, მისი გამრთელება, გარდაბადება, მორჩენა—ყოველს ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რაც უნდა ხანგრძლივი არ იყოს ავადმყოფობის პერიოდი. ავტორმა დიდის ნიჭით, ღრმა დაკვირვებით აღნიშნა ეს ორმაგი მიმართულება, მისი ნათელი და ბნელი მხარე, მისი მარცხენა და მარჯვენა მხარე, მის მონაწილეთა შორის კეთილის მყოფელთა და ბოროტის მოქმედთა ტიპიური თვისებანი და თვალწინ გადაგვიშალა დიადის მოვლენის სურათი და ისე სადად ისე მარტივად, ისე ნათლად გვაგრძნობია მთელის მოვლენის სიგრძე-სიგანე სიღრმე და ძლიერება, რომ გაკვირვებულიც კი ხარ და აღტაცებული მწერლის ხელოვნებით. ხოლო რამდენად შინაარსი, აზრი, ფილოსოფია და, თუ გნებავთ, სოციალური მეცნიერება ღრმადაა და ხელოვნების მხრივ უმწიკვლოდა აქვს გამოხატული ავტორს, იმდენად ტექნიკა დრამისა სუსტია. სუსტია იმიტომ, რომ შუაში ჩაჩხირული აქვს მესამე მოქმედება, რომელიც, ჩემის აზრით, ზედმეტია სრულიად. მართალია, ცხოვრებიდან ამოღებული სურათია, სინამდვილის ცოცხალი ნაფლეთია ეს სცენა, მაგრამ მიბლანდულია ბამბის ძაფით მთელ დრამასთან, სავსეა ეგრედ წოდებულის იაფის ეფექტებით. (მრავალ ჟამიერ და ნატოს ტირილი, ქეიფი და ვანოს შეშლილი დედის ისტერიკები). დრამა თავის თავად მეტად ძლიერია, მეტად ღრმად მოფიქრებული და აღსრულებული, ამისათვის ასეთს სასცენო ეფექტებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ის შთაბეჭდილებას აცუდებს და თავისს მიზანს ვერ აღწევს. სრულიად საკმარისია ვანოს დედის სულიერ მდგომარეობის დასასურათებლად ის პატარა სცენა, რომელიც თავზარდამცემ შთაბეჭდილებას იწვევს მაყურებლებში:

გიგუა (ნატოს)... მიეცი?

ნატო. არ აიღო

გიგო. რატომ? არ გესმის, რო გეუბნები (მოდგება და მიუახლოვდება) თქვი რაღა...

ნატო. ნუ მეკითხები... სჯობს, რომ არა გითხრა-რა...

გიგო. თქვი, თქვი მეთქი.

ნატო. შენ ეგრე ვინდა, და ეჰე! სისხლის სუნი უდისო.

და შემდეგ ნატო აუხსნის, რომ ვანოს დედამ ფული არ მიიღო, „ცოტა ჭკვაზე სრულად არ არისო“ და სხვა; ეს სიტყვები „სისხლის სუნი უდის“, ჭკუაზედ შემცდარის ადამიანისგან წამოსროლილი, რაღაც უცნაურია, საბედისწერო განსჯაა გიგუასი, შეუბრალებელი ვით ბედისწერა, და ულმობელი ვით გარდუვალი კანონი ბუნებისა და ცხოვრებისა. და აი ასეთის უბრალო ხელოვნურის ხერხით ავტორი დიდსა და განუსაზღვრელ აზრებსა და ფიქრებს გამოიწვევს ჩვენში, რაღათ გვჭირია ისეთი ტლანქი ხერხი, როგორც გადარეულის დედაკაცის შემოჭრა ქეიფისა და ლოთობის დროს. საზოგადოდ ეს მანერა მწერლისა აღსანიშნავია: აღსანიშნავია და უაღრესად საყურადღებო ის, რომ ბ. გედევანიშვილი სრულიად ჩვეულებრივის სიტყვებით, ორიოდე ფრაზით მთელ სულის ვითარებას ღრმასა და ტრაგედიულს თვალის წინ გადაგვიშლის. ამგვარია ვანოს ბაასი მიხასთან მის იმედების გაცრუებისა და სასოწარკვეთილების შესახებ.

,,ხომ იცი...—ეუბნება ვანო მიხას—ჩემი სიცოცხლე გათავებულია. ერთ დროს ბედი თითქოს მიცინოდა... გული მაგრად მიცემდა ქვეყანა მიყვარდა... მეგონა, ჩემზე ბედნიერი არავინაა.... შენ იცი, და არც არა დამიმალიარა შენთან... შენ იცი როგორ მიყვარდა ის გოგო, როგორ დავკანკალებდი... დამიწუნეს შე... სხვა აირჩიეს... და დამიბნელდა სინათლე. აღარა მესმოდა რა, აღარას ვხედავდი. მაგრამ იელა ცამ, გაისმა ქუხილი, შეინძრა დედა-მიწა, ტირილი, გოდება, ხალხის გამარჯვების ხმათ გადაიქცა. გაიღვიძა ხალხმა, გამეღვიძა მეცა. დამავიწყდა ჩემი თავი, ჩემი წვალება... და მეც ერთობამ გამიტაცა. გახსოვს ის სტუდენტი, კნიაზიანთსა რომ დაიარებოდა, როგორ გვიხსნიდა ყველაფერს... მეგონა, მოვიდა ჩვენი დრო... და მეც გავემკლავე... ვმუშაობდი საერთო საქმისთვის, ვიბრძოდი... მაგრამ ყველას და მეც ბედმა გვიმტყუნა... დავმარცხდით. და უფრო მეტად ჩვენ თითონ დავეცით სულით და ხორცით... მზე დაგვიბნელდა... ხალხი უფრო დაბეჩავდა... გამიტყდა მეც გული... ორ ხატს ვლოცულობდი,—ორივეს ზურგი ამიქცია... რაღა დამრჩენია? განა ჩემი სიცოცხლე-სიცოცხლეა!.. ვის რათ ვუნდივარ. ან რაღას მოველი? მე რომ წილი მრგებოდა დღეს, ჩემთვის ბედნიერება იქნებოდა.... და შემდეგ... ნუ, ნუ დაჰკარგავს იმედს, ძნელია იმედის დაჰკარგვა... სჯობს ისევ ჯერ სიცოცხლე დაკარგო... არ ვიცი, რა მემართება... მაგრამ ვგრძნობ, ჩემთვის ყველაფერი გათავდა... რას იტყვი შენ, რომ საუკეთესო ძმამ, ამხანაგმა, იმ კაცმა, რომელიც პატიოსნებით სავსე გეგონა, შენი ნდობა დაჰკარგოს, სულ სხვა კაცად გეჩვენოს...“

აქ რამდენიმე სიტყვაში მთელი ტრაგედიაა სულისა, ჯერ სიყვარულის გაცუდება... მერე საზოგადო იდეალების გაკამტვრება... შემდეგ მეგობრის ღალატი, აქაც იმღლება ადამიანური აღსნა ვანოს საშინელის თავ-განწირულებისა. „მე რომ წილი მრგებოდა დღეს, ჩემთვის ბედნიერება იქმნებოდა“-ო იმიტომ, რომ მისთვის სიცოცხლემ ფასი დაჰკარგა, იმიტომ, რომ ცხოვრებაში მან ღალატისა და ვერაგობის მეტი ვერა ნახა-რა. აქედან სასოების წარკვეთა, იმედის წაწყმედა. აქედან სიცოცხლის უარყოფა ‡ სიცოცხლის წყურვილი. რასაკვირველია, მარტო და მხოლოდ ამით პირადის განწყობილებით, როდი აიხსნება ისეთი დიადი ნაბიჯი, როგორიც ვანოს თავგანწირულებაა. რასაკვირველია, მისი საზოგადოებრივი ძლიერი ინსტინქტი, მისი საზოგადოებრივი მიდრეკილება, რომ არ ყოფილიყო პირად უბედურებას კიდევ გაუძლებდა ოცი წლის ჯან-საღი მშვენიერი ყმაწვილი, მაგრამ ერთი მეორესთან გადაბმული და შეზავებული ორივე ძალა იწვევს იმ მოწამებრივ მსხვერპლს, რომელიც ქედს გვახრევინებს ვანოს წინაშე.

ამნაირადვე სავსებითა და ღრმადა აქვს გიგუას სულის ვითარება აღნუსხული ავტორს. გიგუა ვანოს ჩამოხრჩობის შემდეგ სიცოცხლე გაწამებულია. მაგრამ ამ ტანჯვაში უფრო ბევრია შური და ხარობა ვიდრე სინდისის ქენჯნა ,,საუკეთესო ძმის“ ვერაგულად ღალატის გამო: ,,არც დღისით, არც ღამით მოსვენება არა მაქვს... რაღაც მემართება... თავი ღამის არი გასქდეს... ვისაც კი შევხვდები, ვინც კი დამელაპარაკება... ყველგან იმის სახელი ისმის... **იმას ლოცულობენ, აქებენ, ადიდებენ, აღმერთებენ... მთელი დღე დავეთრევი. ღამე ვერ დამიძინია...** წუხელ ძილში ნატო სულ იმის სახელს იხსენიებდა... მაგრა ეძინა... ორჯერ, სამჯერ დაიძახა, რაღაც ღიმილი ეჭნეოდა, თითქო სიტკბოებას გრძნობდაო. რატომ არ დავკარ მაშინ შიგ გულში დანა?

თქმა არ უნდა, იმგვარი საქციელი გიგუასი, რომელმაც ვანო სახრჩობელაზედ მიიყვანა თვით უსაშინელესს ბოროტმოქმედსაც კი აღუძრავს გულში თავისთავად ტანჯვას. მაგრამ ავტორი ამაშიაც დიდს გამჭრიახობას გვიჩვენებს, როცა გვიხსნის გიგუას ტანჯვას უფრო პირადის, კერძო მოტივებით. მას მოსვენებას არ აძლევს ის, რომ ვანოს სახელს ყველა მოწიწებით იხსენიებს, როგორც წმიდანის სახელს, მისი ცოლიც კი ერთად ერთ ნეტარებას განიცდის თუ სიზმრად ვანო მოელანდება. და აი ექვითა და შურით შეკმულს ადამიანს ერთ დღეს ბრაზი მოუვლის და ნატოს დანას დასცემს რამდენიმე ადგილს და სიცოცხლეს გამოასალმებს. მისი მოღვაწეობა თვალწინ გადაეშლება ხალხს.

ვიმეორებთ, პირველი და მესამე მოქმედება შეიცავს მთელს დრამას, მთელს დიდს ტრაგედიას, რომელიც მრავალ ფეროვანია და მრავალ მხრივი. მესამე კი სწორედ სცენაა უხერხული, იმდენად ტლანქი და უშნო, რამდენად პირველი და მესამე ხელოვნურია. როგორღაც ჩაჩხირულია ეს მესამე მოქმედება, ვითომ კონტრასტების გულისათვის, მაგრამ ზემოდაც ვთქვით, მეტის მეტი ჩლუნგი ეფექტებია ნახმარი. თუ ამ სცენას რაიმე მნიშვნელობა აქვს ეს ის, რომ ჩვენებურ თავადობის (უმეტესობის) სურათს გვაძლევს, უტყუარს გვიჩვენებს რა გზას ადგა ეს თავადობა მაშინ, როდესაც ქვეყანა ასეთს სატანჯველს განიცდიდა. მაგრამ ეგ ინტერესი ვერ გამოისყიდის მას, რომ ეს სცენა მიწებებულია უშნოდ მთელს დრამაზე.

და ბოლოს არ შემძლიან სიამოვნებათ არ აღვნიშნო ჩვენის დრამატიულის დასის (ტფილისის) დიდი ღირსებები ამ პიესის შესრულებაში. მე უკვე მოვიხსენიე, რომ ჩვენი სცენა განიცდის ერთგვარ ევოლუციას, განვითარების ერთ-ერთ საფეხურზედა სდგას. ასე ვთქვათ „მხატვრულ“ წარმოდგენების მიუცილებლობა იგრძნო და შეძლებისა და გვარად სცდილობს ამ მიზნის განხორციელებას: აქედან მშვენიერი ანსამბლი, პიესის ყოველივე ადგილების მხატვრულად გამოსახვა. ერთ ერთ სამაგალითო წარმოდგენად ამ ძმრით უნდა ჩაითვალოს ბ. გედევანიშვილის „მსხვერპლი“. უპირველესად ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ჩინებულად იყო წარმოდგენილი ეგრედ წოდებული მასსიური სცენები: (სოფლის ყრილობა). ამ სცენების განხორციელებაში რეჟისორს (ვ. გუხიას) ბევრი პირადი ცოდნა და შრომა შეუტანია და მშვენიერ შედეგისთვისაც მიუღწევია. ამ მხრივ წარმოდგენა სწორედ საგანგებო იყო. გარდა ამისა მშვენივრად უგრძვნია რეჟისორს მესამე მოქმედების უადგილობა და ყოველი ღონე დაუხარჯავს ამ მოქმედებისათვის თავისი ადგილი მიეჩინა, მაგრამ ვერას გამხდარიყო: ტოლუმბაშის მონოლოგი—სიტყვები, რომ თითქმის არ გამოეკრა რეჟისორს, მგონი ვერავინ მოისმენდა ბოლომდის ამ სცენას. ერთი გაბედული ნაბიჯი, რომ წარსდგას რეჟისორმა და სინჯოს ამ მესამე სცენის მთლად გამოტოვება, შესაძლოა ეს ყოველის მხრივ ღირსეული პიესა თავის დონეზედ იქმნეს დაყენებული. მაგრამ მე ჩემს მოსაზრებას ვამბობ. პიესა, როგორც ყოველი ნაწარმოები ნიჭიერის მწერლისა, ერთგვარი ინდივიდუალობაა, რომელიც ყოველივე თავისის ღირსებითა და ნაკლულევანებით მთელია და განუყოფელი; ყოველივე დამახინჯებასა და შეკრეჭას ამ ინდივიდუალობისა შესაძლოა უარესი შედეგი მოჰყვეს.

ყოველ შემთხვევაში სიამოვნებით უნდა მივეგებოთ ამგვარის ნაწარმოებით ჩვენის დრამატიულ ლიტერატურის გამდიდრებას. ამგვარი ნაწარმოები ჩვენის მწერლებისა და ამგვარი წარმოდგენები ჩვენის დრამატიულის დასებისა იმედსა და სასოებას გვინერგავენ, რომ ქართულის თეატრის მომავალი უზრუნველყოფილია.

კიტა აბაშიძე.

პიესამ გვარიანად ჩაიარა. ძრიელ ნასიამოვნები დარჩა საზოგადოება ბ. გ. მუმლაძის (არტემა) და ქ. ა. ძამაგეიშვილის (მარო) მოხდენილი თამაშით. კარგები იყვენ ქ. ლ. მამფორია (ბაბალე) და ბ. ბ. კ. ბახტაძე (კოწია) ა. კორძაია (დავით). არა უშავდათ რა არც ბ. ბ. კობახიძეს (ლევანი) და ჩაუტიძეს (ბაგრატა).

დარბაზი ხალხით სავსე იყო.

მწვანე ყვავილელი.

თელავის ცხოვრება.

აქაურ საზოგადო დაწესებულებათა არსებობის უმთავრეს წყაროს საქველმოქმედო საღამოების შემოსავალი შეადგენს და აკი ამისათვის წერა-კითხვის თელავის განყოფილების გამგეობამ ჯერ ისევ დეკემბერში გადასწყვიტა თავის სკოლის სასარგებლოდ **ყველიერში—3 თებერვალს „სამასკარადო“ საღამოს გამართვა,** რისთვისაც დეკემბერშივე ნებართვა ითხოვეს და საკრებულოს დარბაზის დათმობაც სთხოვეს.

სამოქალაქო სკოლის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების გამგეობამაც სწორედ 6 დღის წინად მოისურვა ასეთივე სამასკარადო საღამოს გამართვა და ჯერ ისევ 2—3 კვირის წინ დაიწყო რეკლამების ხატვა და გამოკვრა. არც ერთ წელს იმდენი „რეკლამა“ არა ჰქონიათ, როგორც წელს, თითქმის ყველა მაღაზიაში შეხვდებით სხვა და სხვა ყაიდის ნახატ განცხადებას, აფიშები—კიდევ სხვაა. არ ვიცი ეს რასა ჰნიშნავს?!?

ამ ფრიად საჭირო საზოგადოების წინააღმდეგი არაფერი მაქვს, პირიქით როგორც მისი მუდმივი წევრი, ვუსურვებ ყოველთვის ნაყოფიერ მოქმედებას და 28 იანვარსაც კარგად დაეგვირგვინებინოთ ეს საღამო, მაგრამ ის კი არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ ამ საზოგადოების გამგეობას ასე ადრე არ უნდა გაემართა ეს საღამო, მით უმეტეს შარშანაც ხომ ორთავემ გამართეს ერთნაირი საღამო, მაგრამ ერთი მეორეზე 2—3 კვირით ადრე იყო და ორივემ კარგად ჩაიარა. წელს კი განგებ თუ უნებლიეთ სწორედ 6 დღის წინად დანიშნეს და ეს ურიცხვი რეკლამები ხომ სულ 28-ზე უთითებენ საზოგადოებას.

წერა-კითხვის საზოგ. თელ. განყოფილებას, რომელიც **თებერვალს ჰმართავს** სამასკარადო საღამოს, არა თუ რეკლამა, ჯერ აფიშებიც არ გამოუკრავს, მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ შეგნებული თელავის საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს **3 თებერვალს საღამოზე დას(...ბით,** საშუალებას მისცემს წ. კ. ...ოლის არსებობას თელავში, სადაც მხოლოდ ღარიბები სწავლობენ ან-ბანს.

დავიწყებული.

ᲛᲝᲬᲕᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

დაბა ჭიათურა. ჭიათურის მახლობლად მდებარეობს ერთი სოფელი, რომელსაც თვისი სპეციალური სახელი არ ...ებოვება და ეწოდება იგივე ჭიათურა. ეს სოფელი შესდგება, ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებ ლეჟავათაგან.

ამას წინად აქ მოხდა სასოფლო ყრილობა. ითათბირეს კოოპერატიულ (მომხმარებელი) საზოგადოების—„ჩვენი ოჯახის“ განყოფილების დაარსებაზე. ყრილობას გააცნეს კოოპერაციის მნიშვნელობა, საზოგადოებამ ეს აზრი მოიწონა და მოინდომა გასცნობოდა ჭიათურის მომხმარებელ საზოგადოების წესდებას. ამის გამო კრება მეორე დღისათვის გადასდო.

სამწუხაროდ ეს საქმე ვერ მოაგვარეს, რადგანაც გამოჩნდნენ ისეთი ვაჟბატონები რომელთაც ჰსურთ ჩააქრონ ეს საქმე და ხალხს უქადაგებენ: „დაგლუპავენ, ციმბირში ამოგაყოფინებენ თავს თუ ეს საქმე დაიწყეთო“. საუბედუროდ ასეთ „მოჭირნახულეებს“ ხალხი უჯერებს, ადგილობრივი ინტელიგენცია კია გაჩუმებული!

სასურველია, რომ ხალხმა შეიგნოს მომხმარებელ ამხანაგობის დიდი მნიშვნელობა და თავგამოდებით შეუდგეს მას გახსორციელებას.

კომეტა.

ლეხურის ხეობა (დუშეთის მაზრა). ეს ხეობა მდებარეობს მდ. ლეხურის ორივ ნაპირზე. მცხოვრებთა რიცხვი შვიდას კომლამდე მეტი გაქართველებული ოსობაა. თითონ მცხოვრებნი არიან დაფანტულნი ტიტველა კლდეებიან მთა ადგილებზე. აქ მოჰყავთ ქერი, სიმინდი და ი ზვიათად პური. წრეულს მცირე მოსავალი მოვიდა, ასე რომ გიორგობისთვიდან აქაური მთის ხალხი უკანასკნელს შესაბამს ძროხას ან ხარს, წვრილ ფეხს საქონელს ჰყიდის და ამით იკვებება. ამათი საზრდო უფრო სიმინდია, რომელსაც კეცებში აცხობენ.

ავადმყოფობა, როგორც მთას შეეფერება, არ არის ხშირად, გარდა ყვავილისა, წითელისა და ხანდახან გამოჩნდება ხოლმე მცირე წლოვან ბავშვების ყელჭირვება, რომელსაც აქ ეძახიან ყვავილს.

აქაური გლეხ-კაცობა ზოგი დროებით ხიზანია, და მომეტებული საბატონო ყმა არის, ესე იგი მოიჯარადრე და ბატონისთვის იხდის ზომიერს გადასახადს, თუმცა შემოსავალი მიწისა ნაკლებია. აქეთ ჯერ კიდევ ვერ მოსპობილა ქურდობა.

აქაური.

ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲒᲑᲐ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲨᲘ

(ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ)

პეტერ-ბურგი. (ოფიც ალური). ასტრაბადში ...ყოფმა რუსეთის კონსულმა ...ვაცნობა ...ზედერანში დაწყებულ საგულისხმო უწესოებათა ამბავი. ადგილობრივი მთავრობა უძლურია, რაიმე საშუალება იღონოს. ეს კუთხე ანარქიამ მოიცვა, რომელიც მით უფრო მწვავდება, რომ აქ სწარმოებს ბრძოლა მაჰომედალის მ...მხრეთა და ეხლანდელი მთავრობის დამცველთა შორის. შაჰის ჯარში დიდი უწესოება სუფევს. ასეთი მდგომარეობის გამო ვაჭრობა შესწყდა და მრავალმა ვაჭარმა ჩვენს საკონსულოს შეაფარა თავი. რუსების ინტერესთა დასაცავად კონსულს საკმარისად არ მიაჩნია მის განკარგულებაში მყოფი სამხედრო ძალა და დახმარებას ითხოვს. ამასთანავე მოსკოვის რამოდენიმე მსხვილმა ფირმამ გარეშე საქმეთა სამინისტროს სთხოვა, ჩვენი ინტერესები დაიცავითო. ამისათვის ასტრაბადში გაიგზავნა ორი როტა ქვეითა ჯარისა, ზარბაზნებითა და ტყვიის მტყორცნელებით, ბარფრუში—ორი როტა და მეშედესერში ერთი როტა.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲐ

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲑᲘ.

ტოკიო. გაზეთების სიტყვით, პირველათ ამერიკამ მიჰმართა გერმანიას ჩინეთის კონცესიების შესახებ შევთანხმდეთო. სუნიათზენის მდივანი ამბობს, როდესაც ამერიკიდან მოვდიოდით, სუნიათზენმა სიტყვა ჩამოართვა იქაურ ფინანსისტებს, თუ რესპუბლიკა დაარსდა, 200 ათასი მანეთი უნდა გავასესხოთო.

პეკინი. გაზ. ოფიციოზი ასწერს მონგოლთა თავდასხმას ოლქის უფროს ლუბინფუზე და ამბობს: მონგოლებს რუსები ეხმარებოდნენ და იარაღიც მათი იყოო. თავდამსხმელთა შორის ბევრი იყო გადაცმული რუსის ჯარის-კაცი და აფიცერი, ერთი აფიცერი კიდეც მოჰკლეს და სამი ჯარის-კაცი დასჭრესო. ოფიციოზი რუსთა წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადებას მოითხოვს ნეიტრალიტეტის დარღვევისათვის და დასძენს, საქმე დაწვრილებით უნდა გამოვიკვლიოთო.

შანჰაი. ხმებია, სუნიათზენმა დეპეშით წინადადება მისცა იუანშიკაის, ხანგრძლივი ზავი ჩამოვაგდოთო, ტაონშაი და უტინფანი ნანკინდან დაბრუნდნენ და განაცხადეს, სამშვიდობო შეთანხმებას მოელიანო.

ჭირინი. გუბერნატორის სამოქალაქო გამგეობის უფროსმა მუქარის წერილების მიღების მერე, სამსახურს თავი დაანება.

ტოკიო. ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა პარლამენტში განაცხადა, ჩინეთის საქმეებზე დახარჯულ 850,000 იენს ყოველთვიური ხარჯი ნახევარ მილიონი იენი მოემატებაო.

ტოკიო. სუნიათზენის მდივანმა, რომელიც ნანკინიდან მოვიდა, სთქვა, სუნიათზენმა ამერიკის ფინანსისტები დაითანხმა 100 მილიონ დოლარის მიცემაზე თუ რესპუბლიკა გახ ...ტკიცდებაო.

პეკინი. შანხაიგუან-მუკდენის შტოზე აფეთქების დროს რკინის გზის ხიდი დაირღვა. მრავალი დაიჭრა. ბევრი მოკვდა.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ-ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲘ

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲑᲘ.

პარიზი. „ჰავასის საგენტო“ იუწყება, ტყუილია, ვითომც საფრანგეთის მთავრობა მრეწველებს ოსმალეთსა და იტალიისთვის იარაღის დამზადებას უკრძალავდეს. მეორე სამშვიდობო კონფერენციის დადგენილებით ნეიტრალურ სახელმწიფოებმა იარაღის გაზიდვა არ უნდა დაუშალონ არც ერთ მხარეს. საფრანგეთის სამრეწველო ქარხნებში ამ ჟამად ოსმალეთისათვისაც ამზადებენ იარაღს და იტალიისთვისაცაო.

რომი. მეწამულ ზღვაზე მყოფ იტალიის ესკადრის სარდალი იტყობინება, დჟევანში ოსმალოთა ბანაკს ვესროდითო.

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(დეპეშათა პეტერბ. საგენტო)

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲓ.

26 იანვარი.

პარიზი. პალატაში სოციალისტმა ლოშმა მოითხოვა, დროებით მოვსპოთ ხორბლის ბაჟიო. ვაჭრობის მინისტრმა უპასუხა, 1911 წლის განმავლობაში ხორბლის ფასი ზომიერი იყო და ბაჟის მოსპობა საჭირო არ არისო. ბაჟის მოსპობას სპეკულაცია სცდილობს, მთავრობა კიამას სასტიკად ებრძვისო. ლოშის წინადადება კომისიას გადასცეს.

მადრიდი. სამხრეთ ესპანიაში დიდი წყალ-დიდობაა. გვადალკვივირი ნაპირებიდან გადმოვიდა. ლეონში მატარებელი, რომელშიაც მეფე იმყოფებოდა, კოკის-პირული წვიმის გამო შეაჩერეს. ჩამოინგრა სასაფლაოს კედელი. აქა-იქ მიცვალებულთა ცხედრები ნიაღვარმა მოიტივტივა.

ბერლინი. იმპერატორმა რეიხსტაგის სესიას სეფე სიტყვით მიჰმართა. სოციალისტები სხდომას არ დასწრებიან. სეფესიტყვაში ნათქვამია, რომ დღევანდელი წესწყობილება უნდა დაცულ იქმნესო. გერმანიის წინსვლა და საზოგადო საყოველთაო მშვიდობიანობის დაცვა სამხედრო ძალებზეა დამოკიდებული და ამისათვის იმპერატორი ზრუნავს გერმანიის ხმელეთისა და საზღვაო ძალების განვითარებაზეო. ამასთანავე სეფესიტყვაში იმპერატორის მშვიდობიანობის მოყვარეობაა აღნიშნული, რის დამასაბუთებლად საფრანგეთთან შეთანხმებაა ნახსენები.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ.

პეტერბურგი. „რუსკოე ზნამია“-ს რედაქტორს 10 დღით დაპატიმრება მიუსაჯეს 1034 მუხლის ძალით და 1039 მუხლის ძალით 50 მანეთით დაჯარიმეს, ხოლო 1040 მუხლის ძალით კი 7 დღის საპატიმრო გადაუწყვიტეს.

მოსკოვი. ყადაღა დაადვეს „უტრო როსიის“ ნომერს. რედაქტორს პასუხის გებაში აძლევენ 281 მუხლის ძალით. „გოლოს მოსკვის“ რედაქტორი ნოვოსელოვის წერილისათვის 1034 მუხლის ძალით პასუხისგებაში მისცეს.

ᲘᲠᲜᲘᲛᲘ. ნამქერებში დარჩობილთაგან მხოლოდ 44 კაცის გვამი იპოვეს.

ომსკი. 19 იანვარს პეტრეპავლოვის მაზრაში 50 კაცი გაიყინა.

პეტერბურგი. „ბირჟევია ვედომოსტის“ მეორე გამოცემას ყადაღა დაადვეს. რედაქტორს პასუხის-გებაში აძლევენ.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

სახაზინო თეატრი. ხუთშაბათს, 25 იანვარს, სახაზინო თეატრში ორკესტრის საბენეფისოდ დადგმულ იქმნა „ტოსკა“ და სიმფონიური განყოფილება, რომელშიაც 100 კაცი იღებდა მონაწილეობას. ალეშკო ტოსკას როლში ჩვეულებრივის ღრმა მეტყველებითა მღეროდა და სთამაშობდა. კარგი შთაბეჭდილებაც მოახდინა მსმენელებზე. ლაზარევი საზოგადოდ კარგი იყო, მაგრამ საუკეთესო არია უკანასკნელ მოქმედებაში, დახვრეტის წინ, მკრთალად ჩაატარა. საინტერესო იყო ჩაიკოვსკის „1812 წელიწადი, რომელიც შეერთებულმა ორკესტრებმა, ნიჭიერ ხელმძღვანელის ივ. ფალიაშვილის წყალობით, მწყობრადა და ენტუზიაზმით შესასრულა. მუსიკალური გამოხატულება 1812 წლის ეპოპეისა, თავდასხმა ფრანგებისა და გამარჯვება რუსებისა, დიდის ხელოვნებითა აქვს გადმოცემული ჩაიკოვსკის. ხელმძღვანელის განსაკუთრებულ უნარს მოითხოვს უკანასკნელი, პათეტიური ნაწილი ნაწარმოებისა. ბ-ნმა ივ. ფალიაშვილმა ადვილად სძლია ეს ნაწილიც და უზარმაზარ ორკესტრს მწყობრად დაამთავრებინა ეს შესანიშნავი უვერტიურა.

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

დ. სამტრედიის ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების კიოსკისა.

აშენება კიოსკისა დაჯდა: ხე-ტყის მასალა 172 მან. 23 კაპ., აგური 950 ცალი 11 მ., კირი 1/2 რწყვა 1 მ. 50 კ., ლურსმანი 2 მ. 70 კ., ხრეში (ქვიშა), სილა (შლამი) და მისი გადატან-გადმოტანა 23 მ. 80 კ., ხე-ტყისა 150 მ., აგურისა 1 მ. 50 კ., თუნუქი, შუშა, რკინები და ბოქლომები 79 მ. 97 კ., საღებავში 46 მ. 39 კ., მღებავს 15 მ. და სახლის სახურავის მხურავს 8 მ.სულ 505 მ. 9 კ., ეს ხარჯი დაფარულია შემოწირულებით და განყოფილების კასით.

შემომწირველთა სია:

სიხარულიძეებმა 30 მ., ირაკლი რევიშვილმა და მისმა ამხანაგებმა 3 მან., დომენტი ცაავამ 3 მ., რაჟდენ ნანეიშვილმა 10 მ., გ. მუმლაძემ 3 მ., ილია ჯაშმა 3 მ., მოსე სტურუამ 3 მ., ეგნატე ფარულავამ 1 მ., ფიალკოვსკებმა 7 მ. 10 კ., ეკატერინე ალხაზიშვილისამ 5 მ., პორფირე ჭეიშვილმა 7 მ., სტეფანე სტურუამ 10 მ., არშაკ ნაზაროვმა 1 მ., სიმონ ჩიგოგიძემ 1 მ., ნიკოლოზ გაჩეჩილაძე 1 მ., ვლადიმერ ცაგარეიშვილმა 1 მ. 50 კ., კოსტა კვანტალიანმა 50 კ., ანდრო დუნდუამ 1 მ., ბიქტორ ბუკუჩავამ 50 კ., კოწია რუხაძემ 2 მ., იოსებ შანიძემ 1 მ., გრიგოლ ურუშაძემ 2 მ., გიორგი ჩხეიძემ 50 კ., ლ. ჭუმბურიძემ 50 კ., მარიხინისამ 50 კ., ფრანგიშვილისამ 50 კ., ბარნაბა კორძაიამ 2 მ., პ. კანდელაკმა 50 კ., ს. მესხმა 1 მ., ი. მეგრელიშვილმა 50 კ., სიმონ მღებროვმა 50 კ., სამსონ ბუკუჩავამ 50 კ., ბ. კახიანმა 1 მ., ივანე ახობაძემ 50 კ., კოწია ახობაძემ 50 კ., არსენ ხუხუნაიშვილმა 40 კ., მიხეილ დარასელიამ 50 კ., ი. გიგინეიშვილმა 50 კაპ, სიმონ გეგეჭკორმა 50 კაპ., ა. ნანეიშვილმა 2 მან., ფ. კაკაძემ 3 მ., შ. იმერლიშვილმა 50 კ., გ. ხუნდაძემ 2 მ., სარდიონ გვიშიანმა 3 მ., ი. გუნიამ 50 კ., თ. ჩომახიძემ 1 მ., ე. მეგრელიშვილმა 50 კ., ჩაჩიბაიამ 50 კ., მ. კალანდარიშვილმა 1 მ., ა. ლორთქიფანიძემ 3 მ., ქართველიშვილმა და ნაცვალაძემ 4 მ. 20 კ., ბახტაძემ და რუხაძემ 4 მ., მ. ქორქაშვილმა 3 მ., ს. წერეთელმა 3 მ., ი. სტურუამ 10 მ., მ. ბახტაძემ 3 მ. 90 კ., ვლადიმერ ნაცვალაძემ 1 მ., მ. მიქაძემ 3 მ., გ. ბერაძემ 1 მ., აბრამ იბილოტოვმა 1 მ. 50 კ. (მუშაობით), სიხარულიძეებისაგან 2 მ. 70 კ. (ლურსმანი), დ. სტეფანიდიდამ 6 მ. (აგურით), გრ. გელაზანიიდან 5 მ. (აგურით). და აგრედვე სბროიავაკის ხე-ტყის ქარხნიდან ასაშენებელი მასალა შემოსწირეს 127 მ. 38 კ., საზოგადოების კასამ დაადვა 205 მ. 1 კ.

გამგეობა სწირავს ულრმეს მადლობას ყველა შემომწირველთ ფულით თუ საქონლით.

წ. კ. ს. სამტრედ. განყოფ. გამგეობის მდივანი **გრ. ურუშაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის·

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—II კლ., ხად. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—III კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში დამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 1 ს. 8 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/66, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ. 2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან: 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—III კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 4 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—III კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის და მე-2 მატარებელს მისდევს, ზოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

ᲣᲤᲐᲡᲝ ᲡᲐᲔᲥᲘᲛᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკო. ლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲔᲑᲘ

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ეკატერინოგორის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და ფიზიკურ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭიროა შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ᲡᲐᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲝ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომენა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 **ფ. ...** რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 5 და მალაკანის მოედანზე.

ᲛᲔᲥᲘᲛ ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

ᲓᲘᲚᲘᲗ:

„606“ — 11—12 ს. ᲨᲔᲨᲮᲐᲙᲣᲜᲔᲑᲐ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲣᲠᲐᲓ.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., სამ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა, პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

კბილის საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასმა.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
ი. ა. ფრანკი: 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1074.1)

ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲘᲐᲠᲝ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲗᲣᲮᲐᲠᲔᲚᲘᲡᲐ,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოდ. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ.**

(თ. 1646.13) **მიკირტუმოვი.**

ᲙᲐᲠᲐᲙᲣᲚᲘᲡ ᲥᲣᲓᲘ

2 მანეთად.

უმაღლეს ხარისხის ხელოვნურ კარაკულის ნაცარს-ფერი და შავი ქუდი, შავ წმინდა აბრეშუმ-ატლასის სარჩულით. დამკვეთელთ დაკვეთის დროს უნდა გამოგზავნონ თავის ზომა. ეგზავნებათ ფასდადებით, უბეოდ. გასაგზავნის და გასახვევ მასალისათვის 50 კ. იხდიან. ციმბირში კი 95 კ. ვინც 3 ქუდს დაიკვეთს გასაგზავნ ხარჯს ჩვენვე ვაკისრულობთ. დაწუნებულს უკანვე ვიღებთ.

მისამართი: Кивману, Лодзь. № 18. Д.

(ტ. 82345. (4—1009—4)

ᲒᲐᲒᲛᲝᲪᲓᲘᲚᲛᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘᲡᲐ

ჩვეულებრივად წელსაც გაგრძელდა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავალო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრედვე გაგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** დებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя,

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.73)

„Ს.-ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ.“

1860 წელს დაარსებული.

ვურჩევთ იყიდონ სულ ახლად გამოსული გასასყიდად

პარიზი 1900. **ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘᲡ Ო-ᲓᲔ-ᲙᲝᲚᲝᲜᲘ,**

„ᲡᲐᲣᲪᲮᲝᲕᲐᲝ ᲐᲙᲐᲪᲘᲐ“,
„ᲜᲣ ᲓᲐᲛᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑ“,
„ᲛᲮᲘᲒᲚᲐᲕᲘ ᲡᲣᲛᲑᲣᲚᲘ“.

თავისებური, საუცხოვო და ხანგრძლივი
✦ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡᲐ. ✦

მთავარი საწყობი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (23.1292.11)

ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔ

№ 4711
**ᲕᲐᲠᲓᲘᲡ ᲤᲔᲠᲘ ᲑᲠᲝ